წელიწადი მესამე — ფასი 7 კაპ. — კვირა, მაისის 7, 1917 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში [illegible] დილის 9—3-მდე. [illegible] მისამართი: თბილისი, [illegible] ქუჩა № 4. [illegible] Тифлисъ, редакц. „Сакартвело", поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

ხელისმოწერის ფასი: [illegible] დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 98 — ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა — № 98


პოლკოვნიკი ილარიონ ისაკის ძე და მეუღლე მისი ნინო გიორგის ასული [illegible] კვირას, 7-ს მაისს, [illegible] წლის წირვა და პანაშვიდი [illegible]

## იროდიონ ისაკის ძის ევდოშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—629—1)

---

კვირას, 7 მაისს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვლილის

## ლადო დარჩიაშვილის

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დამწუხრებულნი მისი დედა, ცოლი, ძმები, რძლები და ძმისა და დის წულები. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე. (1—633—1)

---

მწუხარებით გულმოკლულნი: პელაგია იაკობის ასული, ალათი ბეჟანის ასული, შვილები იასონ, კონსტანტინე ბეჟანის ძენი, რძალი ნინო ხილიბისტროს ასული, სიძე გიორგი დავითის ძე ელიავა და შვილიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

## ბეჟან როსტომის ძე საბახტარიშვილის

მცირე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. ცხედარს დასაკრძალავად გამოასვენებენ საკუთარი სახლიდან (ქ. ფოთი) 7 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე. (1—673—1)

---

## სახალხო სახლი

ორშაბათს, 1917 წ. მაისის 8.

თბილისის ქართულ დრამ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდ. იქნება პირველად ქართულ სცენაზე რევოლიუციონური პიესა:

## ჟან და მადლენა

დრამა 5 მოქ. ოკ. მირბოსი თარ. ნ. შარაბიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ა. შოთაძე. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, შ. დადიანი, ი. ზარდალიშვილი, ი. კახელი, ნ. გვარაძე, ი. თარხნიშვილი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია — დასაწყისი საღ. $8^1/_2$ საათზე.

ბილეთები ისყიდება ამ თავითვე თეატრის კასაში. შემდეგი წარმოდ. 15 მაისს.

(3—670—3) ქართველ მსახიობთა ადმინისტრაცია.

---

## „ახალი საკრებულო"

(ყოფილი ხარფუხის კლუბი)

გადავიდა საზაფხულო შენობაში (მიხეილის პროსპ. № 129).

შაბათს, 6 მაისს,

## სიმებიანი ორკესტრი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სტუმრები იხდიან შესასვლელ ფასს—მანდილოსნები და სტუდენტები 50 კ., მამაკაცები—1 მან. (1—672—1)

---

ერთად-ერთი სამხატვრო-სალიტერატურო—სათეატრო სურათებიანი კვირეული ჟურნალი

## თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

## № 19 შინაარსი:

1, მეთაური—ქართველი მსახიობი; 2, ივ. გომართელი—ომი და ზავი; 3, გ. ქუჩიშვილი—ყივილი; 4, ბ. ა. ხა—ძე—იუბილიარ ვალერიანს; 5, გ. აფხაიური—***; 6, პრ. ახვლედიანი—სალამი თავისუფალ საქართველოს; 7. ან. კაპანაძისა—ქალის შესახებ; 8, ი. სირაძე—გ. ქუჩიშვილს; 9, ი. იმედი—ლადო დარჩიაშვილის ხსოვნას; 10, შ ლვა დადიანი—გუშინდელნი; 11, ეკ. ფურცხვანიძე—არარატის მთა; 12, ა. შუქისპირელი—შრომის სამეფოში; 13, წვრილი ამბები.

თითო ნომერი—15 კ., წლიურად—8 მ. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „სორაპნის" სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძ. № 1), ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба"—Іос. Имедашвили. აქვე მიიღება ხელის მოწერა საქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ" გაზ. „ხალხის თავისუფლება"-ზე. წლის ბოლომდე—5 მ.

რედ.-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

---

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

საქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ პარტიის" (ავტონომისტთა) გაზეთ

## „ხალხის თავისუფლება"-ზე

(წელიწადი პირველი. გამოდის კვირაში ორჯერ)

ივ. გომართელის მახლობელი და მუდმივი მონაწილეობით, მუშათა და ჯარისკაც მწერალთა თანამშრომლობით დ იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.

გაზეთის მიზანია: მუშათა ხალხის სამსახური, ეროვნულ საკითხის მუშური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტების გაერთიანება და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულარიზაცია ხალხში.

გაზეთი ღირს: ამ წლის ბოლომდე—5 მან., თითო ნომერი 5 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ., № 20, ნ. არჯევანიძის სახ. ალექსანდრეს ბაღის თავში) და „სორაპნის" სტამბის კანტორაში, მისამართი: Тифлисъ, Ред. „Халхисъ Тависуфлеба" І. Имедашвили. (10—638—4)

---

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია,

თავის კორესპონდენტების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ისეთი კორესპონდენციები და წერილები არ დაიბეჭდება, თუ წერილი კორესპონდენტის მიერ არ იქნება ხელ-მოწერილი. შეიძლება იყოს ფსევდონიმი, მაგრამ რედაქციისათვის საჭიროა კორესპონდენტის გვარი, სახელი და მისამართი.

---

## მოქალაქენო

## ქ. თბილისის მეორე უბნის ნაწილისა!

კვირას, 7 მაისს, დილის 11 საათზე „თბილისის საკრებულო"-ს ზამთრის შენობაში (დავიდოვის ქ. № 1). შესდგება

## მოქალაქეთა კრება

მეორე უბნის ნაწილის მცხოვრებთა, სადაც უნდა მოხდეს არჩევა შვიდი წარმომადგენლისა სასურსათო განმანაწილებელ კომიტეტში.

არჩევნები მოხდება ყოველ მიზეზის გარეშე, თუნდაც მცირეოდენი ნაწილი დაესწროს მოქალაქეებისა.

მეორე უბნის სასურსათო კომიტეტი.

(1—634—1)

---

ექიმია

## ნ. მ. მუხაძე

იღებს ხადოსტაქრო ავადმყოფთ

საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

---

ექიმი

## მ. ნ. ვეშაპიძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

---

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

---

ექიმი

## მ. ი. ზარნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზუბალოვის ქ. № 4. (თ.—202—)

---

ექიმი

## ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საზეპიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

---

ექიმი ქბილისა

## ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ხერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

---

ექიმი

## ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.

ტელეფონი № 11—82.

---

ექიმი

## მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

---

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

---

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.

მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

---

## თბილისი, მაისის 7.

## სოციალისტები სამინისტროში

კოალიციური სამინისტრო შესდგა. დროებით მთავრობისა და დემოკრატიულ პარტიათა წარმომადგენელთა შორის სამინისტრო პორთფელების დანაწილება რუსეთის რევოლუციის ახალ ხანასა ჰქმნის. რევოლიუციონური დემოკრატია აქამდის მხოლოდ კონტროლით კმაყოფილდებოდა და არ უნდოდა, რომ დროებით მთავრობის პასუხისმგებლობა თავს ედვა. ახალი შეთანხმება ასეთ გარემოებას სპობს და სულ პირიქითს აწესებს. დღეიდან დროებით მთავრობაში ხუთი სოციალისტია და ეს ხუთი სოციალისტი-მინისტრი მათ ამომრჩეველ სოციალისტურ პარტიებს, ესე იგი მთელ რუსეთის დემოკრატიას იმ პოლიტიკის პასუხისმგებლად ხდის, რომელსაც დღეიდან ეს კოალიციური სამინისტრო აწარმოებს.

სოციალისტებისა სამინისტროში შესვლით რევოლიუციის ერთი თავისებური და უდიდესი საკითხი გადასწყდა. რუსეთის ბურჟუაზია სწორედ იმაში სდებდა ბრალს დემოკრატიას, რომ იგი ამ პასუხისმგებლობას გაურბოდა. ცხოვრებამ სოციალისტებს დაანახვა, რომ მათი აზრი შემცდარი იყო. მათ გაასწორეს ე შეცდომა, მაგრამ ფრიად და ფრიად საინტერესოა, როგორ შეასრულებენ ისინი თავის მისსიას, მოიპოვება მათს არსენალში უნარი და ღონე, ან პრაქტიკული საშუალება, რომ ის აზრები განახორციელონ, რომლებსაც მათს ხელში, როგორც პასუხისმგებელ ადამიანებისთვის, აქამდის მშრალი და თეორეტიული მნიშვნელობა ჰქონდათ. ფაქტიურად ეხლა ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როცა მილიუკოვის სამინისტრო წერეთლის სამინისტრომ შესცვალა. მერე, რას ამბობდა მილიუკოვი, ან რას ამბობს წერეთელი? მილიუკოვი ომის, ანექსიის და კონტრიბუციის მომხრე იყო, წერეთელი წინააღმდეგია ომისაც, ანექსიისაც და კონტრიბუციისაც. აი განსხვავება დიამეტრიალური და ამასთანავე საშიშიც!

რევოლიუცია რუბიკონზე შესდგა და მოახერხებს თუ არა მის გადასვლას, ამას ახლო დღეები გვაჩვენებენ.

---

## ეროვნებათა საბჭო და საადმინისტრაციო სამართალი

საეროვნო საბჭო.

აგერ ერთ თვეზე მეტია, რაც მოწვეულ იქმნა ეს „ეროვნებათა საბჭო". ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა, თავის მოქმედების დაწყებიდანვე აშკარად დაინახა, რომ ამიერ-კავკასიაში თითქმის არც კი მოიპოება ისეთი საკითხი, რომელსაც ეროვნული ხასიათი არა ჰქონდეს.

ამიერ-კავკასია აჭრელებულია სხვა და სხვა ერებით. ყველას აქვს თავისი ენა, კულტურა, ზნე-ჩვეულება, ისტორიული წარსული და ეკონომიური განწყობილება. ზოგს—მეტად, ზოგს—ნაკლებად, მაგრამ ყველას აშკარად ეტყობა თავისებურობა და ამიტომ ერთი და იგივე ზომა და ღონისძიება ყველას ერთნაირად ვერ დააკმაყოფილებს და ყველგან ერთნაირად მისაღები არ არის. ამიტომ თავიდანვე აუცილებელი გახდა, დროებით მაინც, სანამ საქმე მოეწყობოდეს, ეროვნებათა საბჭოს მოწვევა. საქმე საჩქარო იყო, საერთო არჩევნების მოხდენა კი მოუხერხებელი. ამიერ-კავკასიის კომიტეტმა მიჰმართა სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიებს და სთხოვა მათ ამ საბჭოში თავ თავისი წარმომადგენელი გამოეგზავნათ. ამ ნაირად საბჭოში წარმომადგენელნი ჰყავს სამ უმთავრესს ეროვნებას—ქართველს, სომეხს და თათარს. თითეულს ჰყავს შვიდშვიდი წარმომადგენელი. სულ 21 წევრია.

სხვა და სხვა ალძრულ კითხვებმა აშკარად დაგვანახვა თუ რამდენად საჭიროა ასეთი საბჭო. დაგვანახვა ისიც, თუ რამდენად არ არის სასურველი ამისთანა საერთო საბჭოში გადატანა და განხილვა ისეთი საქმეებისა, რომლებიც არ შეეხებიან მთელს ამიერ-კავკასიას. ასეთი იყო, მაგალითად, საეკლესიო საკითხი.

როცა კითხვა შეეხებოდა ხოლმე საქართველოს ეკლესიას (ავტოკეფალიას), სომხები და თათრები თითქმის უხერხულად ჰგრძნობდნენ თავს და გადაჭრით ვერას ამბობდნენ ხოლმე; პირ-იქით ქართველი წარმომადგენლები თითქმის ჩუმად იყვნენ, როცა საკითხი შეეხებოდა სომხის ეკლესიის და სხვა რაიმე ადგილობრივ საჭიროებას, სადაც საქართველო არ იყო პირდაპირ დაინტერესებული.

ამ მიზეზის გამო ზოგიერთმა ქართველმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოწვეული საბჭო უნდა გაიყოს სამ სექციად. საქართველოს უფლებები ცალკე უნდა გამოყოფილ იქმნას და მისთვის დაარსდეს ცალკე საბჭოო. ამ საბჭოს უნდა მიენდოს განხილვა იმ საკითხებისა, რომლებიც მხოლოდ საქართველოს შეეხებიან და საზოგადოდ დროებითი მოწესრიგება ადგილობრივი ცხოვრებისა. ასეთივე საბჭო უნდა ჰქონდეთ სომხებს და თათრებსაო. ასეთი იყო პრინციპიალური განცხადება, მაგრამ ეს აზრი შეწყნარებულ არ იქმნა და დარჩა, როგორც სადეკლარაციო განცხადება.

ამ შინაგანმა წინააღმდეგობამ თავი კიდევ ბევრჯერ იჩინა. საბჭოს მინდობილი ჰქონდა შეემუშავებინა ადმინისტრატიული სამართლის ადგილობრივი მოწყობა. ეს საკითხი მეტად ძნელი აღმოჩნდა და მან შეიწირა თითქმის მთლიანად დღემდე გაწეული შრომა. ვინ უნდა ედგეს მაზრას და გუბერნიას სათავეში?—ასე იყო კითხვა დაყენებული და აქ იჩინა თავი ძირითადმა უთანხმოებამ. ჯერ წამოაყენეს პრინციპი კოლლეგიური და ეროვნული. თათრებს და სომხებსაო, ამბობდნენ, ერთმანეთის დიდი ნდობა არა აქვთო, ერთად კი სცხოვრობენ არეულად, ერთ და იმავე გუბერნიაში, ერთ და იმავე მაზრაშიო. ამიტომ საჭიროდ მიაჩნდათ, რომ ადმინისტრატიულ ერთეულის სათავეში ყოფილიყო წარმომადგენელი ორივე ეროვნებისა სომეხი და თათარი. ამავე დროს ანგარიშს უწევდნენ რუსებსაც და საჭიროდ დაინახეს დაემატებინათ მესამე წარმომადგენელიც—რუსი. ამნაირად ჩვენ უნდა გვყოლოდა ყველგან სამსამი მაზრის უფროსი და სამ სამი გუბერნატორი ყოველ გუბერნიაში.

ამისთანა ადმინისტრატიულმა სქემამ წინააღმდეგობა გამოიწვია ქართველ წარმომადგენლებისა. იგინი ამბობდნენ, რომ საქართველოს გუბერნიები და ოლქები არ წარმოადგენენ ისე აჭრელებულ ქვეყანას, როგორც განჯისა ან ერევნის გუბერნიაო. საქართველოში 80 პროც.—90 პროც. ქართველობაა; ალმოსავლეთ საქართველოში, მართალია, სომხები წარმოადგენენ უმცირესობას, მაგრამ არავის ახსოვს, რომ ეროვნული განხეთქილება და შუღლი ყოფილიყოსო. ამიტომ საქართველოს გუბერნიებისთვის სულაც არ არის საჭირო სამი გუბერნატორი, ან მაზრებისთვის სამ-სამი მაზრის უფროსიო. საქართველოს ტერიტორია უნდა გამოიყოს ამიერ-კავკასიიდან და ადმინისტრატიული სამართალი იქ მოეწყოს ისე, როგორც ეს უფრო შეეფერება ადგილობრივ საჭიროებასაო. ამისთვის საკმარისია სამაგალითოდ დავასახოთ ერობა: გუბერნიაში საერობო კრების მიერ არჩეული პირი იქნება გუბერნატორი ან გუბერნიის კომისარიო.

დიდი კამათის შემდეგ მიღებულ იქმნა კომპრომისი: გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს თავმჯდომარე—კომისარს და ორს მის თანაშემწეს. ამნაირად გუბერნიის სათავეში ერთი პირია (კომისარი) და მას ეყოლება ორი თანაშემწე, როგორც ორი წევრი საგუბერნიო კომისარიატისა.

ამ პრინციპზეა აგებული დანარჩენი ადმინისტრატიული ნაწილებიც: ყველგან არის აღმასრულებელი კომიტეტი, როგორც ხალხის წარმომადგენლობა, კომისარი და კომისარიატი, როგორც მისი აღმასრულებელი ორგანო.

სოფლებში აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა ხდება საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორის და ფარულის ხმის მიცემით; უნდა მოეწყოს იმავე არჩევნებით, სარაიონო (საუბნო) აღმასრულებელი კომიტეტი. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი შესდგება სოფლის და დაბა-ქალაქების წარმომადგენლებისაგან და გუბერნიისა—ყველა მაზრების და საგუბერნიო ქალაქის წარმომადგენლებისაგან.

ასეთია მოკლედ მიღებული დებულება. ადგილობრივი ცხოვრების მოწესრიგება იმ კომიტეტებს ევალება, იმათ ხელშია საერობო სამართალი. კომისარებს ყველგან ირჩევს აღმასრულებელი კომიტეტი, მაგრამ ყოველი კომისარი თავის მოქმედებაში ემორჩილება უფროს კომისარს: სოფლის კომისარი—სარაიონოს, რაიონის—მაზრისას და მაზრის კომისარი გუბერნიის კომისარს. ამ კომისარებს აქვთ ერთის მხრივ ადმინისტრატიული ძალა, მეორე მხრივ—საერობო სამართალი.

ამნაირად შეცვლილია თვით საფუძველი ადმინისტრატიულ ძალისა: ეს საფუძველი ეხლა ბიუროკრატიული თვითნებობა კი არ არის, არამედ ხალხის სურვილია და საარჩევნო პრინციპი.

გიორგი გვაზავა.

---

## „ალიონი"

დღეს ლადო დარჩიაშვილის გარდაცვალების წლის თავია, იმ ლ. დარჩიაშვილისა, რომლითაც დაიწყო საქართველოში ავტონომისტ სოციალ-დემოკრატთა ქადაგება და მუშაობა. ჩვენ ყოველთვის ყურადღებით ვეკიდებოდით ასეთ ქადაგებას და არა ერთხელ გვითქვამს, რომ ჩვენი სოციალ-დემოკრატიის ცხოვრებაში ბევრი ნამდვილი პატრიოტული და საღი მოქმედებაა აღსანიშნავი და ზოგიერთი წვრიმალი და, შეიძლება, ძირითადი შეცდომებისათვის პროგრამის, ან ტაქტიკის სფეროში—რაიც მეტად საზარალო და დასაგმობია—„არ უნდა გადავაგდოთ ბავშვი საპნიან წყალთან ერთად", როგორც ამბობენ გერმანელები. სამწუხაროდ, ჩვენში პარტიული ქინიანობა ყველას თვისებაა და სო-

ციალ-დემოკრატიაში არსებული ზოგი ჭეშმარიტად სადი საფუძველიც ერის მტრობად და მოღალატეობად იყო გამოცხადებული, ისევე, როგორც სოციალ-დემოკრატიისაგან ეშმაკეულისად მონათლული ყოველივე, რაიც მათი პარტიის გარეშე იყო. ესეთი გამწვავება, გარდა ძირითადი განსხვავებისა, ტემპერამენტის ბრალიცაა.

არ უნდა დავივიწყოთ დასელების ის ღვაწლი, რომ ქართველი ინერტული მასსა მთელი საუკუნის მონობის შემდეგ, პირველად მათ შეანძრიეს და გამოიყვანეს მიძინების მდგომარეობიდან. მართალია, მათის მოქმედებას, მათს სიტყვას გარეგნულად ანტიეროვნული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ არსებითად, ობიექტიურად იგი ღრმად ეროვნული იყო, იქნება მათის სურვილის წინააღმდეგაც, ვინაიდან ხალხთან სალაპარაკო ენა მარტოოდენ ქართული ჰქონდათ და ხალხის გონებაგახსნილობა, მისი გამოფხიზლების საფეხურები ყველგან ბოლოს და ბოლოს ბუნებრივად ეროვნულ კალაპოტში ყალიბდებიან, თუნდაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიონ ამას.

დღეს ჩვენ არ შევეხებით იმ მხარეს, თუ რამდენად საზიანო თუ სახეირო იყო სოციალ-დემოკრატების ბრძოლა, მაგალითად, ფედერალისტებთან, როგორც ეროვნული თავისუფლების მებაირაღტრეებთან, მაგრამ თვით ამ ბრძოლის პროცესში შესაძლებელი გახდა ჩვენი ერის, ხალხის ეროვნული გრძნობის და გონიერების გაღვივება მხოლოდ იმიტომ, რომ უკვე საზოგადო შეგნების ნიადაგი მომზადებული იყო დასელთაგან. ისტორიამ მხოლოდ ამ მთავარ დებულებათ უნდა გაუწიოს ანგარიში და არა ტემპერამენტების შეხლა-შემოხლას და შეტაკებათ, რაიც „მოქმედების ხალისს უკარგავს" ბევრს თანამედროვე მოღვაწეს და საზოგადოთ ამბავთა თანამედროვეებს. უნდა განიჭვრიტოს საერთო მსვლელობა აზროვნებისა, მოქმედებისა, საერთო მიმართულება და გაფურჩქვნა ჩვენის ძალებისა, რომ არ გადავყვეთ უნაყოფო გაზვიადებას ყოველი წვრიმალი უთანხმოებისა და უსიამოვნებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით სოც.-დემოკრატიის წიაღშიაც არა ერთხელ უგრძვნიათ ეროვნული საკითხის სიმწვავე და ის, რისაც წინააღმდეგნი პრინციპიალი თვალსაზრისით ისინი არასოდეს არ ყოფილან და, ხშირად დღიურ ტაქტიკის ფორმებშიაც აპირებდა ჩამოყალიბებას. ამ მხრივ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა განსვენებულ დარჩიაშვილის გამოსვლა, შემდეგ ივ. გომართელისა და სხვათა, რომელნიც პარტიამ რენეგატებათაც კი მონათლა. ასეთი „რენეგატები" თანდათან ისე გამრავლდნენ (და ვინც იცნობს ქართველ სოციალ-დემოკრატთა ისტორიას, ისიც იცის, რომ დღევანდელი მამამთავარი ს.-დემოკრატებისა, ნოე ჟორდანიაც, ასეთივე რენეგატი იყო საერთო პარტიულ მეორე კრებამდე), რომ უკანასკნელ ხანებში საკუთარ ორგანოების გამოცემაც კი დაიწყეს, როგორიც იყო მაგალითად „შადრევანი". რამდენადაც იზრდებოდა რიცხვი ეროვნულ სოც.-დემოკრატებისა, იმდენად ირკვეოდა სახეები იმ სოც.-დემოკრატებისაც, რომელნიც ვერა ბედავდნენ აშკარად გამოსვლას პარტიის დისციპლინის წინააღმდეგ. ეს ერთი მხრით, შეიძლება, ნიშნავდა მათს სისუსტეს, მაგრამ მეორე მხრით მაჩვენებელი იყო იმ უაღრესად საჭირო პარტიულ დისციპლინისა, რომლის ჩვენში შექმნა მხოლოდ სოც.- დემოკრატიამ შესძლო. ჩვენი ხალხი და ნამეტნავად ინტელიგენცია ანარქისტულ მიდრეკილებითაა სავსე და საორგანიზაციო დისციპლინის და ძალის მნიშვნელობას ვერ იგებს მკაფიოდ და ამ მხრივაც სოც.-დემოკრატიამ აჯობა თვით ქართველთა ბუნებას, და ესეც პლიუსია მისთვის.

მაგრამ დღეს დადგა ჟამი, როდესაც ეროვნული საკითხის ტალღამ მეტი ძალა მოიკრიბა პარტიულ მიმდინარეობაში და ის ტოტი, რომელიც დღემდის დაწყვეტილი იყო სხვა და სხვა ტაქტიურ თევზის დასაჭერად— დღეს გაიხსნა ბუნებრივად და თავისი საკუთარი კალაპოტი გამონახა. ჯერჯერობით ამ კალაპოტში დაიწყო დენა ახალმა „ჯგუფმა" „ალიონისამ", მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ობიექტიური პირობანი იმდენად არ შეცვლილა, რომ სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის სრული გარდატეხა მომხდარიყოს; მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ყველაფერს ზემონათქვამს, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უკანასკნელ დრომდე დაწყვეტილი და აწ გახსნილი ტოტი სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობისა თანდათან გაფართოვდება და მთავარკალაპოტად გადაიქცევა. აი უმთავრესი მნიშვნელობა „ალიონის" გამოსვლისა და საწინდრად ასეთი დიაგნოზისა ისიცა კმარა, რომ საზოგადო შეურიგებლობის დროს იგი დიდი ყურადღებით ექცევა პარტიათა შორის შეთანხმების საკითხს და მის უდიდეს მნიშვნელობას ეროვნულის თვალსაზრისით. ასე გვესმის „ალიონის" გამოსვლა, მივესალმებით მათს ენერგიულ ხელმძღვანელთ და სრულის სიმშვიდით უყურებთ იმ სანუკვარ მომავალს, როდესაც ყველა პარტიების გაძლიერებული მოქმედება შეერთდება საერთო მომქმედ ორგანიზაციაში, რომ უფრო გაცხოველდეს და გაძლიერდეს ბრძოლა რევოლუციის და თავისუფლების მტრებთან ერთის მხრივ და მეორე მხრით გაძლიერდეს ორგანიული დადებითი მუშაობა ახალ საქართველოს კეთილდღეობისათვის.

ამ რიგად ლ. დარჩიაშვილის დათესილმა მარცვალმა ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა თვისივე პარტიაში. მხოლოდ ბედმა არ დააცალა ნაყოფის ხილვა, საუბედუროდ.

რ. გაბაშვილი.

## პრესა

**შიიტთა და სუნიტთა გაერთიანება.**

„მშაკი" სწერს:

„ამ რამდენიმე დღის წინედ ბაქოში მუსულმანთა ყრილობა იყო. მას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს შიიტ-სუნიტთა გაერთიანება. ვინც ოდნავ მაინც იცნობს მუსულმანთა ისტორიას, ის დაგვეთანხმება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს. ჩვენ ჯერ არ ვიცით, როგორ შეხედავენ კავკასიის მუსულმანთა ამ გაბედულ პროგრესიულ ნაბიჯს სხვა ქვეყნის მუსულმანები, მაგალითად, ოსმალეთის, სპარსეთის, ეგვიპტის, ინდოეთის და აფრიკისა, მაგრამ თუ კავკასიის მუსულმანებმა, რომელნიც კულტურულად ძლიერ ჩამორჩენილნი იყვნენ სხვა ქვეყნის მუსულმანობას, ასეთი რამ დაადგინეს, მაშინ უსათუოდ სხვა ქვეყნის მუსულმანები სიამოვნებით უნდა შეხვდნენ მათს ნაბიჯს. თორმეტ საუკუნეზე მეტია, რაც შიიტები და სუნიტები ერთმანეთს დაშორებულნი იყვნენ და ხანდისხან სარელიგიო ფანატიზმი იქამდე მიდიოდა ხოლმე, რომ ერთმანეთს დასარბევად ესეოდენ. შეიძლება ეს იყო იმის მიზეზი, რომ მუსულმანებმა ძლიერი სახელმწიფოს შექმნა დღემდე ვერ შესძლეს.

# რევოლუცია

## დეპეშები

**გლეხთა დეპუტატთა საბჭო.**

**პეტროგრადი.** მაისის 4. გლეხთა დეპუტატთა საბჭოს ყრილობის დაწყებისას მასლოვმა დახასიათა საბჭოს აღორძინების ისტორია, აგრეთვე მისი სამოქმედო ასპარეზი, თუ რა მემკვიდრეობა დაუტოვა მას მონარქიზმმა, რომელიც სასტიკად ჰბორკავდა მოქალაქეთა განვითარებას. შემდეგ ორატორმა წამოაყენა 4 მიზანი: პირველი —რომ გლეხთა დეპუტატების საბჭო უნდა გარდაიქცეს სამშობლოს ძალთა ცენტრად; მეორე—მოიგონოს თუ რა მოვალეობა აქვს სამშობლოს წინაშე ასასრულებელი, მესამე—დაცულ იქმნას გლეხთა ინტერესები და მეოთხე— ხელი შეუწყოს თავისუფალ წესწყობილების განმტკიცებას.

ორატორს მტკიცედ ჰსწამს, რომ რუსეთის გლეხობა აღსდგება და სიცოცხლის ძალით შეიმოსება. ბრეშკო-ბრეშკოვსკისა სიხარულს აცხადებს, რომ სიბერის დროს მოესწრო ნანატრ სურვილთა განხორციელებას. იგი მოუწოდებს ყველას სამოქმედოდ და ამბობს, რომ იგი სრულებით დაიმედებულია გლეხის ბრწყინვალე მომავალით, რადგანაც ციმბირიდან დაბრუნებისას, რუსის გლეხი მას მომზადებული და მდგომარეობით გაუმჯობესებული დახვდა. ჩერნოვმა თავის სიტყვაში შესაერთებლად მოუწოდა სოფელს, ქალაქს და ფრონტს, ვინაიდან ამ სამის ძალთა შეერთება დასძლევს ყოველგვარ დაბრკოლებებს, რაიცა კი სამშობლოს წინ ეღობება. ეს სამება შეებრძოლება ძმათა ომსაო. ამიერიდან, ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ვიცავთ, არა რომანოვთა მამულების საზღვარს, არამედ საზღვარს რუსეთის მშრომელთა სახალხო რევოლიუციისას, საზღვრებს რუსეთის მშრომელ ხალხისას. ამისთვის მივმართავთ ჩვენს მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა გლეხობას იმ სიტყვებით, რაც წინედ ზღაპარი იყო და რაც ახლა თანდათანობით ხორციელდება.

**რედაქტორის დაპატიმრება.**

**კოლოგრივი.** მაისის 4. ადგილობრივმა საზოგადო კომიტეტმა დააპატიმრა სათათბიროს წევრი,—„ნაროდნაია ვოლია"-ს რედაქტორ-გამომცემელი ბოგდანოვი, გაზეთი შეჩერებულია. ბოგდანოვს თავის გაზეთში წერილი ჰქონდა დასტამბული, ამ წერილის გამო მას აბრალებენ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ამბოხების გამოწვევას.

**თათბირი თავრიდის სასახლეში.**

**პეტროგრადი.** მაისის 4. პირველი სიტყვა გუჩკოვისა იყო. ტყუილად მაბრალებენ, ვითომც მე ისე დავანებე თანამდებობას თავი, რომ ამხანაგებს არა ვუთხარი რა, ეს ტყუილია. თავ. ლვოვს ერთი კვირით ადრე ვუთხარი, არ შემიძლიან მუშაობა იმ პირობებში, რა პირობებშიაც მთავრობაა, მეტადრე სამხედრო სამინისტრო-მეთქი. გაჭიანურებული კრიზისი საერთო საქმის მავნებელი იყო. არც შემშინებიაო,—სთქვა გუჩკოვმა—მოვალეობის ასრულებაზე ხელის აღებაში ძალა იმან დამატანა, რომ ამ პირობებში შეუძლებელი იყო მუშაობა. რომ დავრჩენილიყავ, ქვეყანას იმის ილიუზია გაუჩნდებოდა რაც ნამდვილად არ იქნებოდა. მთავრობას იმიტომ მოვშორდი, რომ იგი ნამდვილად არა ყოფილა. იმიტომ წაველ, რომ მთავრობა და პასუხისმგებლობა გაყოფილიყო. ზევით სრული მთავრობა იყო, თუმცა მას პასუხისმგებლობა არა ჰქონდა, ქვემოდ კი სრული პასუხისმგებლობა იყო, მაგრამ მას ძალა არა ჰქონდა, ეს კი ანარქიაა, რომელიც სისტემად იქცა, გამგებლობის მეტოდათ და ეს ჯარსა და ფლოტს დაავადებს. მდგომარეობა ძალიან და ძალიან სახიფათოა. ამ ხიფათმა ყველგან მოიკიდა ფეხი, ჯარშიაც და სამოქალაქო ცხოვრებაშიაც, მთავრობის კრიზისი ჩემმა წასვლამ არ შეჰქმნა, იგი უკვე იყო მაშინ, როდესაც ჩვენ მთავრობობა ჩაგვიგარდა ხელში, მაგრამ ხელ-ფეხ შეკრულნი კი ვიყავით, მთავრობის იმ კომბინაციას რომელიც ეხლა უნდა შესდგეს, მხარი უნდა მივცეთ, ეს შეჰქმნის ძლიერ მთავრობას, თორემ ქვეყანა დაგვეღუპება. მილიუკოვი ამბობს, მე და ჩემს ამხანაგებს გადაწყვეტილი გვქონდა თავი არ დაგვენებებინა ჩვენის თანამდებობისათვის, ვიდრე ძალა არ დაგვადგებოდაო. ძალა დაგვადგა, მაგრამ ამხანაგების მხრივ: წადით, თქვენი ადგილი სხვისთვის არის საჭიროო. ჩემი აზრი ის იყო, რომ აღარ არის მეფის დიპლომატია, არც დემოკრატიის დიპლომატიაა, არის მხოლოდ სამოკავშირო დიპლომატია. ომის მოსპობა საზღვარგარეთელ სოციალისტების უმცირესობის სურვილი იყო, უმრავლესობა კი ომს ისე უცქერდა, როგორც მილიტარიზმის მოსპობას. ბურჟუაზიული პარტიები ომს მით უმეტესს მისდევდნენ, მაგრამ ციმმერვალდის იდეებს ჩვენში ბევრი მომხრე გამოუჩნდა, აპრილის 20 და 21-ს ამბები ქუჩაში. სოციალისტები კაბინეთში შემოსვლას დასთანხმდნენ, მაგრამ მილიუკოვი აღარ იყოსო. ამხანაგებმა ისე დააყენეს საქმე, რომ მხოლოდ პორთფელი უნდა შემეცვალა. ამისთანა პირობებს მე არ დავთანხმდი. მიხვდებით რატომაც (ტაში). მილიუკოვი წინააღმდეგია ახალ კაბინეთის მომავალ დეკლარაციისა, მაგრამ მაინც საჭიროდ სთვლის, რომ ახალ კაბინეთს მხარი დაუჭირონ.

**ძველი რეჟიმის მომხრე გენერალთა განდევნა.**

**კიევი.** მაისის 5. კიევის ოლქის ჯართა დეპუტატების საბჭომ სამხრეთ-დასავლეთის ასპარეზის მთავარსარდალს სთხოვა დათხოვა ძველი რეჟიმის მომხრე გენერლებისა. საბჭოს დადგენილება ბრუსილოვმა შეიწყნარა.

**ტყეების დაწვა.**

**სამარა.** მაისის 4. სამარის და სტავროპოლის სატყეო აგარაკებში ტყეები იწვის. გლეხებმა ტყის დამცველი ყარაულები განდევნეს.

**ფინეთის სეიმი და ახალი მთავრობა**

**ჰელსინგფორსი.** მაისის 4. სეიმში მრეწველობის საკითხის შესახებ ლაპარაკის დროს, სოციალისტ მიხელინმა განაცხადა, რომ დროებით მთავრობას არავითარი უფლება აქვს ფინეთის შინაურ საქმეებში ჩაერიოსო. ძველი ფინი ნევალინი მას არ ეთანხმება და დროებით მთავრობას აღიარებს აპეკუნად, რომელიც ბავშვს ჰპატრონობს სრულს მომწიფებამდე. შვედმა ფრეიმ განაცხადა, რომ მონარქის ტახტიდან გადადგომის შემდეგ დროებითი მთავრობა უსაცილოდ უმაღლეს სახელმწიფოებრივ ორგანოდ უნდა ვიწამოთო. და მასთან ერთად კეთილი სურვილით უნდა ვიმოქმედოთ არეულ საქმეთა მოსაგვარებლადაო.

**შეერთებული კრება.**

**პეტროგრადი.** მაისის 4. დღის 2 საათზე მარინეს სასახლეში დროებით მთავრობისა, გაიმართა შეერთებული კრება სახელმწიფო სათათბიროს დროებით აღმასრულებელ კომიტეტისა, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოის და მთავარსარდალთა წარმომადგენლებისა. ფრონტის წარმომადგენლებმა კრებას დაწვრილებით გააცნეს ფრონტის მდგომარეობა და თავისი შეხედულებანი ჯარის ნაწილების მომავალ ორგანიზაციის შესახებ. სამხედრო მინისტრის მოხსენების თანახმად ჯარის სასურსათო საქმე დღითი დღე უმჯობესდება.

## მინისტრების გადადგომა

**სვეაბორგის ნავთსადგურის ფლოტის, არმიის და მუშათა დეპუტატების ყრილობა.**

**ჰელსინგფორსი.** მაისის 4. სვეაბორგის ნავთსადგურის ფლოტის, არმიის და მუშათა დეპუტატების საერთო კრება მოხდა. საკითხი საკოალიციო სამინისტროს შეეხებოდა. რეზოლიუციით კრებამ პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებს მოუწოდა ისეთი მთავრობა შეექმნათ, სადაც წევრებად სარევოლიუციო დემოკრატიის წარმომადგენელნი იქნებიანო. კრების აზრით მხოლოდ ასეთს მთავრობას შეუძლიან რუსეთი კრიტიკულ მდგომარეობიდან დაიხსნას.

**მილიუკოვის წასვლა.**

**პეტროგრადი.** მაისის 5. მილიუკოვმა მტკიცე უარი განაცხადა სახალხო განათლების მინისტრის პორტფელზე. მას მეტის მეტ საფრთხედ მიაჩნია ის გზები, რომელსაც უცხოეთის პოლიტიკის მიმართ აწარმოებენ. ამისთვის მას აღარ ძალუძს დროებით მთავრობის შემადგენლობაში დარჩენა.

**ახალი მინისტრები.**

**პეტროგრადი.** მაისის 4. დღეს მოხდა შეთანხმება დროებით მთავრობის და დემოკრატიულ პარტიის შორის, მინისტრთა პორთფელების განაწილების შესახებ. მინისტრ-თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი თავ. ლვოვი, გარეშე საქმეთა ტერეშჩენკო, სავაჭ.-სამრეწ. კონოვალოვი, სახელმწიფოს კონტროლიორი—გოდნევი, ობერპროკურორი—ლვოვი, შრომის მინისტრი—სკობელევი, იუსტიციის—პერევერზევი, სამიწადმოქმედო—ჩერნოვი, სასურსათო—პეშეხონოვი, სამხედრო-საზღვაო— კერენსკი, ფინანსებისა—შინგარევი, ფოსტა-ტელეგრაფისა წერეთელი, საგზაო მინისტრი —ნეკრასოვი, სახალხო განათლებისა—მანუილოვი.

## გაზეთებიდან.

**საქალაქო არჩევნები.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული საქალაქო არჩევნების დროებითი დებულებანი დროებითმა მთავრობამ მოიწონა. ამ დებულებათა თანახმად არჩევნები იქნება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და საიდუმლო. ყველა ქალაქში, საარჩევნო სისტემა პროპორციონალურია. საარჩევნო უფლება ყველასა აქვს, ვინც კი 20 წლისაა. არჩევნებში მონაწილეობს ქალაქის ის მოსახლეობა, რომელიც საარჩევნო სიების შედგენის დროს ქალაქში იცხოვრებს. 20 წლის სალდათები იქ მიიღებენ მონაწილეობას, სადაც მეციხოვნე ჯარი სდგას. საარჩევნო დებულებანი ქალაქს ერთ საარჩევნო ოლქადა სთვლის, მაგრამ შეიძლება მისი დანაწილებაც, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. საარჩევნო სიების შესადგენად ორი კვირის ვადაა. არჩევნები 41 დღეზე გვიან არ უნდა მოხდეს მას შემდეგ, როცა არჩევნების მოხდენას საქალაქო საბჭო დაადგენს.

**სომეხ სტუდენტთა კრება**

მოსკოვში ფიქრობენ მოკლე ხანში სომეხ სტუდენტთა კრების მოწვევას. კრების უმაღლესი მიზანი იქნება გამორკვიოს სომეხ სტუდენტთა დამოკიდებულება დღევანდელ მომენტთან. ამას გარდა კრებას სურს შეაკავშიროს დაქსაქსული ძალები მტკიცე ორგანიზაციაში და შეძლების დაგვარად დაეხმაროს სომეხ გლეხობას საზაფხულოდ სოფელში სამუშაოდ.

**გერმანელები ოსმალეთში.**

ამ ბოლო ხანებში ოსმალეთს და გერმანეთის მთავრობათა შორის ერთი მეტად საგულისხმიერო შეთანხმება მოხდა. სტამბოლში მყოფს ოსმალეთის მეციხოვნე ჯარს ებრძანა მიატოვოს ქალაქი და აზიის ბრძოლის ასპარეზისაკენ გაემართოს. ამ მეციხოვნე ჯარის მაგიერ სტამბოლში დაბანაკდება გერმანელების ჯარები, რომელნიც სტამბოლის ახლო-მახლო მიდამოებში მრავლად იყვნენ თავმოყრილნი. მათი რიცხვი დაახლოვებით უნდა უდრიდეს 50,000 კაცს. ამგვარად ოსმალეთის შინამდგომარეობა ასეთს სურათს წარმოადგენს: მთელი შემადგენლობა რკინის გზათა, ინჟინრები, ტეხნიკოსები, ხელოსნები, ორთქლმავალის მახურნი—ყველა გერმანელი იქნება. გერმანელებს დაუკითხავად ოსმალეთს მთელს მცირე აზიაში არ შეუძლიან ფაქტიურად არც თავის ტვირთის გადაზიდვა და არც მგზავრთა მიმოსვლა. ამგვარად მთელი მცირე აზია—ან უკეთ, ოსმალეთის მცირე აზია გერმანელების სრულს ბატონობის ქვეშ იმყოფება.

ადმინისტრაცია ოსმალეთში თითქმის სულ გერმანელების ხელშია და ყველა სამინისტროებში დაწესებულია გერმანელთა „სოვეტნიკები", რომელთა ნებადაურთველად ოსმალ-მინისტრებს უფლება არა აქვთ რაიმე განკარგულება გასცენ.

ამგვარადვეა მოწყობილი ადგილობრივი მმართველობა. გუბერნატორებს და გენერალ-გუბერნატორებს სათავეში უდგანან [illegible] „სოვეტნიკები".

ოსმალეთის ჯარი გერმანეთის განკარგულებაში გადავიდა ჯერ კიდევ 1913 წელს. საომარ სამზადისის დროს გერმანეთის მთავრობამ გაჰგზავნა სტამბოლში მთელი პარტია თავისი ოფიცრებისა გენერალ ლიმან-ფონ-სანდერსის მეთაურობით. მას დაუქვემდებარეს სტამბოლის მთელი მეციხოვნე ჯარი. დანარჩენი ოფიცრები ოსმალეთის სხვა და სხვა ჯარების ხელმძღვანელებად და უფროსებად დანიშნეს იმავ უფლებებით, როგორც საადმინისტრაციო „სოვეტნიკები".

ამგვარად მთელი სამხედრო ძალა ოსმალეთისა დაექვემდებარა გერმანეთის მმართველობას. ცხადია, რომ ვისაც ექვემდებარება სატახტო ქალაქის მეციხოვნე ჯარი—ქალაქიც მისია და ვის ხელშიაც სატახტო ქალაქია— (ისეთ სახელმწიფოებში, როგორიც არის ოსმალეთი)—მისია მთელი სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებაც.

ამგვარად ფაქტიურად გერმანეთმა მოახდინა ანექსია ოსმალეთისა ჯერ ისევ 1913 წელს.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**მთავარ ბანაკის ცნობა**

**პეტროგრადი,** მაისის 5. **დასავლეთის ასპარეზი.** კოველის მიმართულებით კუხარის რაიონში, მტერი ჩვენ თხრილებს ყუმბარებს და ნაღმებს ძლიერად ესროდა. ვოლინის მიმართულებით, შელვოვის რაიონში მაისის 4-ს ღამით, მოპირდაპირემ ერთს ჩვენ უბანზე სასტიკი იერიში მიიტანა, მაგრამ ზარბაზნის სროლით მოვიგერიეთ. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში ზარბაზნების სროლაა.

**რუმინეთის ფრონტი.** სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**კავკასიის ასპარეზი.** ოლთის მხრით ოსმალთა ერთი როტის მიერ მოტანილი იერიში ზარბაზნებით მოვიგერიეთ. ქურთები თავს ესხმიან ჩვენს ზურგის საყარაულოებს, ჰსთხრიან საფლავებს და შიშველ გვამებს ათასნაირად ამახინჯებენ.

**საფრანგეთის მთავარ ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** მაისის 4. **დღის ოფიციალი ცნობა.** ღამემ სიწყნარით ჩაიარა. ლაფეს წისქვილის რაიონში, მტერმა ახალი იერიშები მოიტანა; მაგრამ სულ უმნიშვნელოდ ჩაუარა და პოზიციები კვლავ ხელში ჩავიგდეთ. მრავალ პუნქტებში ბრძოლა ჩვენს სასარგებლოდ გათავდა. გერმანელთა დაზიანებულმა ჯარმა ტყვეები დაგვიტოვა. ბრეს ჩრდილო-დასავლეთით მტრის სამი რაზმი გავფანტეთ. ესენი ლარუას ფერმის, ერის, ეპინდშერის და ტრინის უბნებში ჩვენი პოზიციების ხელში ჩაგდებას ჰლამობდნენ. შამპანეში, კორნილიეს მთის რაიონში პატრულთა შეტაკება იყო, ტყვეები წამოვიყვანეთ. ასპარეზის დანარჩენ პუნქტებში შესანიშნავი არა მომხდარა რა.

**პარიზი.** მაისის 4. **საღამოს ოფიციალი ცნობა.** ლაფოს წისქვილის ჩრდილოეთით გერმანელებს იერიშები აღარ მოუტანიათ. აქ ჩვენი ხაზი სრულებით აღდგენილია. ფრუადმანის მიმართულებით მოტანილი იერიში მალე მოვიგერიეთ. კრონის აღმოსავლეთით წინ წავიწიეთ და „108" მაღლობის რაიონში, ბერრი-ო-ბაკის სამხრეთით ხელთ ვიგდეთ რამდენიმე თხრილი და ამასთანავე ტყვეები წამოვიყვანეთ. კალიფორნის ზეგანზე საარტილერიო ბრძოლაა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში დრო გამოშვებით საარტილერიო ბრძოლაა.

**მფრინავთა მოქმედება.** აპრილის 25-დან მაისის 3-დე პოდპორუჩიკმა ნონგისერმა გერმანელთა მე-23 ჰაეროპლანი ჩამოაგდო, პოდპოლკოვნიკმა დელიონმა მე-15-ე, პოდპორუჩიკმა ჟუაიემ მე-9-ე, პოდპრაპორშჩიკმა კაზალმა მე-8-ე, კაპიტანმა ოუემ მე-5-ე.

**პარიზი.** მაისის 4. **ახლო აღმოსავლეთი.** სტრუმის ასპარეზზე ინგლისელთა ჯარმა მტრის რამოდენიმე თხრილი ხელთ იგდო. სოფ. კეპლის ახლოს მოპირდაპირის იერიში მოვიგერიეთ და 25 კაცი დავატყვევეთ. ცრნის დასავლეთით სერბეთის ასპარეზზე სერიოზული ოპერაციებია. ფრანგთა ჯარებმა 800 მეტრის მანძილზე სიმაგრეები აიღეს, რომელსაც მტერი დიდად ამაგრებდა. მტერმა უკანასკნელ ხანებში ბულგარეთიდან მოსული ჯარი მოიშველია.

**ბელგეთის ასპარეზი.**

**ჰავრი.** მაისის 4. ბელგეთის ასპარეზის ზოგ-ზოგ პუნქტებში ცხარე საარტილერიო ბრძოლაა. სტეენსტრეტის და პეტზასის მიმართულებით ხელის ყუმბარებით ბრძოლა განვაახლეთ.

**ინგლისის მთავარბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** მაისის 5. ოფიციალი. მაისის 4 საღამოთი ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ (სოფელი ბიულკური ავიღეთ. ამ სოფლის გამო ატეხილი ბრძოლაც აპრილის 20-ს დაიწყო. სოფლის აღების დროს ტყვეებიც წამოვიყვანეთ.

**ინგლისელთა გემები.**

**ლონდონი.** მაისის 4. ერთი კვირის განმავლობაში, მაისის 3 დე, ინგლისის ნავთსადგურებში მოსულა 2568 გემი. ნავთსადგურებიდან გასულა 2552, დაღუპულა ინგლისელთა 23 სავაჭრო გემი და 3 სათევზაო. სავაჭრო 19 გემზე წყალ ქვეშებმა იერიში მიიტანეს.

**იტალიის მთავარბანაკის ცნობა.**

**რომი.** მაისის 4. ოფიციალი. იულიის ალპების ასპარეზზე, მონდრიცის და პლავის რაიონებში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მტერმა გრაცინის სამხრეთით დიდმნიშვნელოვანი სიმაღლე აიღო. ვაგნიაკოს და ფაიტის სიმაღლეებზე მოტანილი მტრის იერიშები მხნედ მოვიგერიეთ. მაისის 1-დან მაისის 3-დე 4021 დავატყვევეთ, მათ შორის 124 ოფიცერია. ამასთანავე 5 ზარბაზანი წამოვიღეთ.

**რიგის რაიონში.**

**რიგა.** მაისის 5. გერმანელებს თავისი ჯარის ნაწილები სხვა ასპარეზზე გადაჰყავთ. ამ დღეებში გერმანელებმა ჩვენს ასპარეზს რამდენიმე დივიზია მოაშორეს და იტალიის ასპარეზისკენ გაისტუმრეს. მტერი ალბად ჰსცდილობს ჩვენს მოკავშირეებს დიდი ბრძოლა გაუმართოს. კომპეტენტიურ წრეების აზრით, გერმანელებმა ჩვენს ასპარეზზე ისე შეასუსტეს თავისი ძალები, რომ მცირე ძალითაც შეიძლება მისი გარღვევა. მფრინავთა მოქმედება ორივ მხარეზე მეტად ინტენსიურია. გერმანელი მფრინავი მზვერავები მხნედ ჰმოქმედებენ. ამასთანავე გერმანელებს დიდად ხელს უწყობს ჩვენი ჯარისკაცებთან დაძმობილება. ბოლო ხანებში ჩვენს ჯარიკაცებზე დაძმობილების წინააღმდეგ პეტროგრადელ მუშათა და ჯარიკაცთა დეპუტატთა საბჭოს მოწოდებამ დიდი გავლენა მოახდინა.

**სამხედრო და საზღვაო მინისტრის ა. კერენსკის მოწოდება.**

**პეტროგრადი.** მაისის 5. ბრძანება არმიას და ფლოტს. პეტროგრადი 1917 წელი მაისის 5. ხელთ ვიპყარ რა სახელმწიფოს სამხედრო ძალა, ამით ვაცხადებ: ა) სამშობლო განსაცდელშია და ყოველი ჩვენგანი არ უნდა შეუშინდეს გაჭირვებას. ამიერიდან არავის არ გავანთავისუფლებ საპასუხისმგებლო საქმისაგან და უმაღლეს სამხედრო პირთა თხოვნას გასვლის შესახებ—არ შევიწყნარებ. ბ) თავის ნებით გამოქცეულები (დეზერტირები) კვლავ უნდა დაბრუნდნენ მოვალეობის ასასრულებლად მაისის 15-მდე. გ) ამ კანონის დამარღვეველნი სასტიკად დაისჯებიან. ზემოხსენებული ბრძანება წაკითხულ იქმნას: როტებში, ესკადრონებში, ბატარეებში, ასეულებში და გემებზე.

სამხედრო საზღვაო მინისტრი ა. კერენსკი.

**ბრატიანუს დაბრუნება რუმინეთში.**

**იასა,** მაისის 5. რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ბრატიანუ რუსეთში გამართულ მოლაპარაკებით დაკმაყოფილებული პეტროგრადიდან დაბრუნდა. ამის გამო რუმინეთის მთავრობასთან არსებული გენერალ მოსოიკის მისია მოისპო და მის მაგივრად რუსეთის საქმეთა მართვა-გამგეობა რუსეთის ელჩმა პოკლევსკი-კოზელმა იკისრა.

# უკანასკნელი დეპეშები

გაზეთების ცნობით, მე-4-ე ლაშქრის კომიტეტმა მინისტრ-პრეზიდენტს დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც მოითხოვს დედაქალაქში მყოფ და სათადარიგო ჯარებისგან, მომქმედ ლაშქარში მსწრაფლ გაიგზავნენ სამარშო როტები.

—

ყირიმში მყოფ მარიამ თევდორეს ასულის და მთლად ხამეფო ხაგვარეულოს დაცვის მეთვალყურედ დანიშნულია ფლოტის პრაპორშჩიკი—ჟორჟოლიანი.

—

„რეჩი“ არჩევს ახალ მთავრობის პროგრამას და ამბობს, რომ ამ პროგრამაში ისეთი საერთო დებულებანია, რომ ადამიანს შეუძლიან მათ ყოველნაირი აზრი მისცეხო. ამ პროგრამის ახალსა და ძველს მხოლოდ მთავრობის მოქმედებანი ამჟღავნებენ. ახალია მაგ. ზავი უკონტრიბუციო და უანექსიო, დაპირება, რომ ანარქიას, უსამართლობას და ძალადობას ვებრძვითო, ესეც ახალია. გაზეთს იმედი აქვს, რომ ახალი მთავრობა თვის პროგრამის დებულებათა საშვალებით ლაშქარს გაამხნევებს. რუსეთმა მხარი უნდა მისცეს ახალ მთავრობას, რომ მას მართლა-და ძალა ჰქონდესო.

—

ჯარის კაცებმა მცენსკის მაზრაში შერემეტიევის მამული აიკლეს. ზარალი ორ მილიონ ნახევარს აღწევს. მამულებს 20000 ჯარის კაცი შეესია და აოხრების შემდეგ მთვრალები ნაძარცვ ნადავლით მცენსკში დაბრუნდნენ.

—

ბრუსილოვის და გურკოს გასვლის ხმები გაუგებრობაა და სინამდვილეს მოკლებული, აგრეთვე ხმები მე-20-ე საკორპუსო კომანდირის და ჯარის სხვა უფროსთა წასვლის შესახებ.

—

ფრონტის დელეგატების სიეზდზედ პლეხანოვი ომის ბოლომდე დამთავრების პრინციპს იცავდა. მოწინააღმდეგეებმა უპასუხეს, რა ჰქნას არმიამ თუ კი ფიზიკურად დაღლილიაო. პლეხანოვმა მიუგო:—თუ მართლა ჯარი ისე არის დაქსაქსული და სულით დაცემული, რომ მას გამარჯვება აღარ სწამს, მაშინ ეს პირდაპირ თქვით და რევოლიუციონურ ხალხს კისერზედ გერმანეთის მილიტარიზმის თოკი მოაბით და თუ კი ძალა გაქვთ, მაშინ იომეთ. ომი ძვირად ჯდება, მაგრამ მხოლოდ გამარჯვებით მოპოვებული ზავი იქნება მტკიცე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ჩინეთის ბედი გვეწევაო.

# ეროვნულ-დემოკრატული პარტია

**ეროვნულ-დემოკრატიულ სტუდენტთა ორგანიზაცია.**

ამ ორგანიზაციის ბიურო მოთავსებულია ახალ ბანკის შენობაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე (შესავალი სამების ქუჩიდან). ამხანაგ თანამოაზრე სტუდენტებს (განურჩევლად სქესისა) ვსთხოვთ აქ მოგვმართონ ხოლმე. აქვე ჩაიწერებიან პარტიის წევრებად. ბიურო ღიაა დილის 12 ს.—2 საათამდე და საღამოს 6 ნახ.—9 საათამდე.

**თბილისის საუბნო კრება.**

ხუთშაბათს, საღამოს, მომრიგებელ მოსამართლის კამერაში ტურგენევის ქუჩაზე იყო მე-8 და მე-9 უბნის მცხოვრებთა, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მომხრეთა კრება. გ. გორდეზიანმა და ა. ასათიანმა მოახსენეს კრებას პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციის შესახებ. კრებამ აირჩია დროებითი ბიურო 15 კაცისაგან შემდგარი. ვინაიდან ბინა ვიწრო გამოდგა და ხალხი ვერ დაიტია, დროებით ბიუროს დაევალა დაჩქარებით მეორე, უფრო ფართე კრების მოწვევა.

**ნაძალადევის სარაიონო კომიტეტი**

საქართვ. ეროვნ.-დემოკრატ. პარტიის ნაძალადევის სარაიონო კომიტეტმა გადასწყვიტა კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, საღამოს 6 საათზე, ნაძალადევში, საეკლესიო სასწავლებლის შენობაში, გაიმართოს ხოლმე ჩვენი პარტიის წევრთა და თანაგრძნობთათვის უფასო ლექცია და საუბარი, რომელთა თემა პარტიულ-პროგრამული იქნება.

**სტუდენტთა კრება.**

დღეს, 7 მაისს, დანიშნულია ეროვნულ დემოკრატ სტუდენტთა საერთო კრება „საქართველოს“ რედაქციაში. საღამოს 5 ნახ. საათზე. ამხ. თანამოაზრე სტუდენტებს ვთხოვთ შემოიარონ.

# „საქართველოს“ დეპეშა

## მთიელთა ყრილობის სალამი.

კავკასია. მაისის 5. კავკასიელ მთიელთა შეერთებულ ყრილობამ, თავის საისტორიო დღეს ძმური სალამი უძღვნა კეთილშობილ ქართველ ხალხს და მზად არის ხელ ჩაკიდებული გაჰყვეს მას კავკასიის დემოკრატიულ და ფედერატიულ საფუძვლებზე მოსაწყობად.

ყრილობის თავმჯდომარე მახანოვი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კონფერენცია მოკლე ხანში იქნება მოწვეული. პარტიის ადგილობრივი კომიტეტები და ორგანიზაციები ახლავე უნდა შეუდგნენ სამზადისს, როგორც მოხსენებისათვის, აგრეთვე არჩევნებისათვის.

# ქრონიკა

## კავკასია

◆ გლეხთა ყრილობის მოსაწვევად და კავშირების მოსაწყობად მუშათა საბჭომ საჭიროდ სცნო, დაარსდეს საგანგებო საბჭო, რომელშიაც შევლენ სამ-სამი წარმომადგენელი პოლიტიკურ პარტიებისა, სამეურნეო საზოგადოებათა, კოოპერატივებისა და სხვა ამგვარ დაწესებულებებისა.

◆ დააპატიმრეს როსტოვში, თანახმად თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებისა, კავკასიის სამხედრო შტაბის უფროსად ნამყოფი გენ.-ლეიტ. ლ. მ. ბოლხოვიტინოვი.

◆ განსაკუთრებულმა კავკასიის კომიტეტმა ერევნიდან მიიღო შემდეგი ტელეგრამა: ხშირი ხასიათი მიიღო მიწებისა და წყლის ხელში ძალადობით ჩაგდებამ. ქურთები სცილდებიან საზღვარს, ესვმიან მშვიდობიან მცხოვრებთ და მიჰყავთ ნახირი. ზოგ ადგილებში მიმოსვლა სავსებით შეწყვეტილია. მილიცია უძლურია. საჭიროა ჯარი, რომელმაც უნდა დაიცვას წესიერება და მცხოვრებთა მშვიდობიანობა. სწორეთ ამისთანა დროს წაიყვანეს ერევნის გარნიზონი ფრონტზე. ამიტომ ვითხოვთ გამოიგზავნოს ათასი ჯარისკაცი, რომელთაც მიეცეს წესიერებისა და მშვიდობიანობის დაცვის უფლება.

◆ ამიერ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა წარმომადგენლების ყრილობა გაიხსნა მაისის 5-ს, საღამოს 5 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში. ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მ. ჯაფაროვი, ა. ჩხენკელი და ნ. ჟორდანია. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ექ. მამულია.

◆ **ფოთის მეციხოვნეთა წერილი.** მაისის 4-ს ფოთის მეციხოვნე ჯარისკაცებს დეპეშის გამოგზავნა სდომებიათ თბილისში ჯარების დელეგატთა ყრილობის თავმჯდომარისათვის. დეპეშაში ფოთის მეციხოვნენი პროტესტს აცხადებდნენ ჯარისკაცთა უფლების შეზღუდვის გამო და აღფრთოვანებულ სალამს უძღვნიდნენ რუხ შინელიან მოქალაქეთა თავისუფლებისათვის მებრძოლთ. ჩვენ გვწამსო, აცხადებდნენ დეპეშის ავტორნი, რომ ამხანაგი სოც.-რევოლიუციონერები ჩვენთან ერთად მოიპოვებენ კავკასიის ჯარისკაცთათვის მიწას და თავისუფლებასო. ამ დეპეშის გამოგზავნაზე უარი უთქვამს ფოთის სატელეგრაფო სადგურს და დეპეშა საგანგებო კაცის ხელით გამოუგზავნია თბილისში ფოთის გარნიზონს. ეს გარნიზონი პროტესტს აცხადებს ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის ცენზორის მოქმედების წინააღმდეგ.

◆ **„თავისუფლების სესხი“.** აპრილის 6-დან მაისის 5-მდე თავისუფლების სესხზე თბილისში ხელი მოაწერეს 10.423.150 მან., ხოლო თბილისის რაიონში 325.800 მ., სულ 10.748.950 მანეთი.

## საქართველო.

◆ თფილისის კომისარიატმა ზუგდიდიდან შემდეგი დეპეშა მიიღო.

„1912 წელს, 20 დეკემბერს, გამოცემულ კანონის ძალით გლეხებს დაუწყეს გადასახადის ართმევა, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია გლეხებში. არეულებანი მოსალოდნელია. ზუგდიდის აღმასრულებელი კომიტეტი მოითხოვს შეჩერებულ იქმნას ეს გადასახადები“.

აკაკი ჩხენკელი კახეთიდგან უკვე დაბრუნდა თბილისში. ლაგოდეხში წასვლა მას ვერ მოუხერხებია, რადგან მოდიდებულ მდინარეებს ხიდები მოუტაცნია. ჩხენკელი ყოფილა სიღნაღსა, თელავსა, ყვარელსა და ზოგიერთ სხვა სოფლებში. ყვარელში მას, სხვათა შორის, დაუთვალიერებია ილიასეული კოშკი და ვენახი. ადგილობრივი ორგანიზაციები კახეთში ყველგან რიგისამებრ ყოფილა მოწყობილი. ხალხი ყველგან აღტაცებით ეგებებოდა თურმე ჩხენკელს.

◆ **ქართველ მსახიობთა კავშირის** საბჭოს პირველი კრება 5 მაისს გაიმართა, საბჭოს თავჯდომარის კ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით. არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი. საბჭოს დადგენილებით თავმჯდომარის მაგიერობას ეწევა საბჭოს ის წევრი, რომელიც თბილისში იქნება და არჩევნების დროს მიღებული აქვს სხვებზე მეტი თეთრი კენჭი. ხაზინადრობა დროებით, სეზონის დაწყებამდე, მიენდო ალ. იმედაშვილს. მდივნობა იკისრა შალვა დადიანმა, ხოლო კავშირის იურისკონსულტობა — პეტრე ქავთარაძემ. საბჭომ გადასწყვიტა ბუჰგალტრად მოიწვიოს გ. მუმლაძე.

◆ **მოწოდება ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად.** ჩვენის გაზეთის დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერლებს ეგზავნებათ ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მოწოდება ქართველ მოღვაწეთა აგარაკის სასარგებლოდ შეწირულებისათვის. სააგარაკო თანხად დღემდე შემოვიდა 10,032 მანეთი. ეს ფული ინახება თბილისის სამეურნეო ბანკში (ანგარიში № 83) ხელუხლებელ თანხად. იმედია, ქართველი საზოგადოება დღესაც გამოეხმაურება მოწოდებას და შესაძლებელს გაჰხდის განზრახულ კეთილ მიზნის სულ ახლო მომავალში განხორციელებას. ნუ დაიშურებთ თითო-ოროლა გროშს ჩვენის ქვეყნის მოჭირნახულეთათვის!

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** გამგეობის კრება დანიშნულია დღეს, მაისის 7-ს, საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობის ერთის წევრის ამოსარჩევად საზოგადოების მხრივ.

## თბილისი.

◆ **ახალი გაზეთი „ჯარისკაცი“.** კვირას, 7 მაისს, გამოვა ქართველ სამხედრო პირების თანამშრომლობით საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ჯარისკაცი“. გაზეთი წლის დამლევამდე ეღირება 4 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 7 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Тифлисъ, Редакцiя Джарискаци, почтовый ящикъ № 190. რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5 და ღია არის დილის 10 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 7—8 ს.

◆ **სურსათი.** თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტს ცნობა მოუვიდა რწმუნებულ დალაქიშვილისაგან, რომ 100 ვაგონი სიმინდი მზადა მაქვს გამოსაგზავნად და აგრეთვე 3 ვაგონი კარტოფილიო.

◆ **შაქარი.** თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტს ატყობინებს მიწადმოქმედების მინისტრი, რომ შაქარი საერთოდ ცოტაა და სანამ ახლად დამზადდებოდეს, ყაირათი გასწიეთო. თბილისის გუბერნიის მცხოვრებთათვის მიმდინარე მაისში კომიტეტს მზად აქვს 45,000 ფუთი შაქარი, რაიც იმ ნორმას უდრის, რომელიც შემუშავებულია კომიტეტის მიერ.

◆ **ხორცის განაწილება.** ქალაქის სასურსათო კომიტეტს აზრად აქვს ხორცის განაწილების საქმე მოაწყოს ქალაქის სასაკლაოზე. ამისათვის დაარსებული იქნება ხორცის ბირჟა, რომელშიაც წევრებად შევლენ სხვა და სხვა მომქმედ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი.

◆ **ქალაქის სასურსათო დუქნები** გადაეცა ქალაქის სასურსათო კომიტეტთან არსებულ საგანგებო კომისიის ხელში. კომისიას გადაუწყვეტია აქვს, რომ ამ დუქნებში ყოველგვარი საბაკალეო და მუშა საქონლისათვის საკვები მასალა მოიპოვებოდეს.

◆ **გაფიცვის მოლოდინში.** ფურნეების პატრონთა და მათ მუშებს შორის უთანხმოება ასტყდა ეკონომიურს ნიადაგზე. მუშათა დეპუტატების საბჭომ კანონიერად სცნა მუშების მოთხოვნილება, მაგრამ ფურნის პატრონები არაფრის დათმობას არ აპირებენ. მოსალოდნელია გაფიცვა. მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა დაიბაროს ფურნის პატრონები და გამოუცხადოს მათ, რომ თუ მუშათა კანონიერ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენ, ფურნეები რეკვიზიციის წესით ჩამოერთმევათ.

◆ **ეპისკოპოსი კირიონი,** დღეს 7 მაისს, საღამ. 6 საათის მატარებლით თავისს ეპარქიაში მიემგზავრება.

◆ **ელლინთა ყრილობა.** დღეს, დილის 11 ს. ბერძენთა მე-2 სკოლის შენობაში მე 5 უბ. ბერძენთა წმ. ნიკოლოზის ეკლესიასთან მოხდება ამიერ კავკასიის ბერძენთა პირველი ყრილობა. მსჯელობა ექნებათ: 1) ამიერკავკასიის ბერძენთა გაერთიანება, 2) ადგილობრივი ორგანიზაცია, 3) დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის მზადება, 4) საეკლესიო, 5) სასკოლო, 6) საგრარო, 7) ეკონომიური საკითხები, 8) ბერძნულ ორგანოს რუსულ ენაზე დაარსება და 9) ყრილობის მოსალოდნელი კითხვები.

◆ **სოც.-ფედერალისტთა პარტიის** კონფერენცია გაიხსნება დღეს, მაისის 7-ს, დილის 10 საათზე, „ახალ კლუბი“-ს დარბაზში.

◆ **თბილისის მილიციის უფროს და უმცროს მილიციონერთა კრება.** ორშაბათს, 2 საათზედ დანიშნულია უფროს და უმცროს მილიციონერთა კრება, ახალი კლუბის შენობაში. ყველა ამხანაგებს ვთხოვთ უსათუოდ დაესწრონ კრებას.

◆ **ქალთა კრება.** დღეს, 7 მაისს, დილით ათ საათზე, დანიშნულია ხარფუხ-დამოგულ ქალთა კრება. დასწრება ყველას შეუძლია. ბინა: „განათლების“ სასწავლებელი, სურფ-სარქისის ქუჩა № 48.

◆ **წირვა სიონში.** სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდე, ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოისა, დღეს, ბრმის კვირიაკეს, სიონის საკათედრო ტაძარში სამღთო ლიტურგიას შეასრულებს.

**„ხე თავისუფლებისა“.** სკულპტორმა ი. ნიკოლაძემ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, რომ მსგავსად ევროპის ქვეყნებისა, თბილისშიაც დარგულ იქმნას „ხე თავისუფლებისა“. ამ საკითხის გამო თათბირი ჰქონდათ გამგეობის წევრებს, მებაღეთა თანადასწრებით, და გადასწყვიტეს შემოდგომაზე დარგონ ერევნის მოედანზე ასეთი ხე.

◆ **კვირას, 7 მაისს,** საღამოს 4 საათზედ დანიშნულია წვრილ ვაჭართა საზოგადო კრება ძველი სემინარიის შენობაში, პუშკინის ქუჩა, ძიძიშვილის მოსამზადებელ სკოლაში მე-3 და 4 უბნის კომიტეტის ასარჩევად.

◆ **კოოპერატივთა კავშირი.** თბილისში შესდგა ახალი კავშირი კოოპერატივთა, რომელსაც ეწოდება „პურის კავშირი“. კავშირში წევრებად შედიან ჯერ-ჯერობით კოოპერატივები: „შრომა“, ყაზან-თათართა კავშირი, დაწესებულებათა და კუკიისა.

# მიმართვა ჩვენი საზოგადოებისადმი

მაისის 2-ს შესრულდა სწორედ ერთი წელიწადი, რაც გარდაიცვალა ნიჭიერი პოეტი იროდიონ ევდოშვილი (ხოსიტაშვილი). დღეს დიდუბეში დანიშნულია მისი სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი. მას სიკვდილის შემდეგ დარჩა სრულიად უმწეოდ ოჯახი, რომელსაც შეადგენენ: ქვრივი მარიამ, ივანე ჯანყარაშვილის ასული, ვაჟი ივანე და სამი ქალიშვილი—თამარ, ევდოკია და თინათინ. ოჯახის ქონებრივ უძლურებას ზედ დაერთო მის წევრთა ჯანის უძლურებაც. სდგება ზაფხული. სუსტი აგებულების ბავშვებისათვის საჭიროა აგარაკად წასვლა. თუ ეს ვერ შესძლეს, ძალიან ცუდი მომავალი ელით. ამიტომ დღეს ტანჯულ მწერლის გახსენებისას, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო 1905 წელს რევოლიუციაში (უამრევოლიუციოდ ხომ ვერც ვეღირსებოდით ახლა ამ ბედნიერ დღეებს), ჩვენ ყველანი, მიმართულების განურჩევლად, ვალდებულნი ვართ მივხედოთ მწერლის უმწეოდ დარჩენილ ოჯახს და სამუდამოდ უზრუნველ ვყოთ იგი.

ნუ თუ მარტო პირში უნდა ვაქებდეთ და სიცოცხლეში ზეიმს ვუმართავდეთ ჩვენს მწერლებსა და მოღვაწეებს?

ნუ თუ ჩვენი მოვალეობა არ არის მათი ტანჯული აღსასრულის შემდეგ გავიხსენოთ მათი უსახლკარო შთამომავლობა?

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ჩვენს საზოგადოებრივ ჯგუფებს, მიმართულების განურჩევლად, განსაკუთრებით წერა-კითხვისა და სიტყვა-კაზმულ საზოგადოებას და კულტურულ დაწესებულებათა კავშირს, დაუყონებლივ მიჰხედონ ამ საქმეს, შეადგინონ სათანადო კომიტეტი, გვამსახურონ ჩვენ და იროდიონ ევდოშვილის ოჯახი უზრუნველ-ჰყონ.

რომ არ შემეტყო განსაკუთრებული მძიმე მდგომარეობა ოჯახისა, ვერც გავბედავდი ასეთ სარევოლიუციო ხანაში დროს ამ მოწოდებით შემეწუხებინა ხალხი და საზოგადოება.

**გრიგოლ დიასამიძე.**

# ავტონომია და ფედერაცია

(დასასრული)

**ინგლისის სახელმწიფო წყობილება.**

განვიხილოთ ახლა ინგლისი. ინგლისი სამოქალაქო და სათვითმართველო თავისუფლების, ან ავტონომიის, სამაგალითო ქვეყანაა. რამდენად ხელშეუხებელია აქ პიროვნების თავისუფლება, ჩანს შემდეგიდან: თუ პოლიციელმა დაიჭირა დამნაშავე, უკანასკნელს 24 საათის განმავლობაში უნდა წარუდგინონ ბრალდება და, თუ ბრალდებული დამნაშავედ არ აღმოჩნდა, სასამართლომ სამსახურიდან უნდა გადააყენოს და ზარალი უნდა აზღვევინოს ბრალდებულის სასარგებლოდ მას, ვისი მოქმედებითაც მართალ მოქალაქეს მოაკლდა თავისუფლება.

სასამართლო ერთია მოხელეთა, სამხედრო პირთა და მოქალაქეთათვის.

სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების დროს სამხედრო მთავრობას ეძლევა უფლება შეაჩეროს ხსენებული გარანტიები. მაგრამ, როგორც კი სამხედრო მდგომარეობა იხსნება, სამხედრო პირ(ებ)მა პასუხი უნდა აგონ თავის უკანონო მოქმედებაზე.

ამხანაგობათა შედგენა თავისუფალია.

მუნიციპალური თვითმართველობა თითქმის დამოუკიდებელია. პოლიცია თანასწორად ექვემდებარება სამინისტროსა და მუნიციპალურ საბჭოს. მუნიციპალურ საბჭოს აქვს უფლება შეაწეროს მოქალაქეთ იმდენი გადასახადი, რამდენსაც მოისურვებს, სკოლების, სამკურნალოების, გზების და სხ. მოსაწყობად.

ფინანსთა მინისტრს შეუძლია მხოლოდ დროებით შეაჩეროს მუნიციპალური საბჭოს დადგენილება გადასახადების შეწერის შესახებ. და, თუ მოქალაქეთა უმრავლესობა (რეფერენდუმი) დაემოწმება საბჭოს დადგენილებას, მინისტრის მიერ დადებულ აღკრძალვას (veto) ძალა ეკარგება.

ავსტრალიის ფედერატიულ შტატებს, ახალ ზელანდიას, კანადას, კაპის ახალშენს, ორანჟის რესპუბლიკას— ავტონომიური თვითმართველობა აქვსთ მინიჭებული და ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ისეთი დემოკრატიული, სახალხო ნური კანონმდებლობა და მართვა-გამგეობაა განხორციელებული, რომელიც სანიმუშოდ უნდა ჩაითვალოს მთელის განათლებულის მსოფლიოსათვის.

ირლანდიამ დღეს თუ ხვალ უნდა მიიღოს ფართო პოლიტიკური ავტონომია. ინდოეთი დანაწილებულია პატარ-პატარა სამთავროებად და თვითეულს მინიჭებული აქვს ფართო ადმინისტრაციული და საეროზო ავტონომია. ეს კია: ინდოეთის ავტონომიები ძლიერ შევიწროებული არიან და, მაშასადამე, იქ გამეფებული პოლიტიკური სისტემა არ შეესაბამება ინგლისის პოლიტიკას სხვა ახალშენებში.

რომ შევადაროთ ინგლისის პოლიტიკური სისტემა საფრანგეთისას, აღმოჩნდება, რომ პირველს ახასიათებს დეცენტრალიზაცია, მეორეს კი— ცენტრალიზაცია. ე. ი. ინგლისში ადგილობრივი მუნიციპალური თვითმართველობანი და ახალშენები დამოუკიდებელი ან ავტონომიური არიან შინაურს საქმეებში; საფრანგეთში კი ცენტრალური, უზენაესი მთავრობა ავიწროებს ადგილობრივ თვითმართველობათა და ახალშენებს.

ერთი სიტყვით, საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგანი და საახალშენო პოლიტიკური წესწყობილება ცენტრალისტურ-ბიუროკრატიულია. ინგლისის შინაგანი და საახალშენო პოლიტიკური წესწყობილება კი—დეცენტრალისტურ-ავტონომიურია. და, რომელი სჯობია, ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი.

განვიხილოთ ახლა მეორე სახელმწიფო, კიდევ უფრო დეცენტრალისტურად მოწყობილი,—შვეიცარიის ფედერატიული რესპუბლიკა.

**შვეიცარიის სახელმწიფო წყობილება.**

შვეიცარია პატარა ქვეყანაა. აქ ცხოვრობენ: ფრანგები (რონის ხეობაში), გერმანელები და იტალიელები (რეინისა და პოს ხეობებში).

1890 წელში გერმანელი იყო 2 მილიონზე ცოტათი მეტი, ფრანგი 630.000-ზე ცოტათი მეტი და იტალიელი 155,130. არიან აგრეთვე რომანულ ენაზე მოლაპარაკენი (38 357). სარწმუნოებრივად რომ განვსაზღვროთ, პროტესტანტები შეადგენენ მცხოვრებთა სამ-მეხუთედს. იტალიელები— კათოლიკენი არიან. ფრანგთა უდიდესი ნაწილიც კათოლიკეთაგან შესდგება.

ეს პატარა ქვეყანა შესდგება 22 პატარა ავტონომიური ერთეულისაგან, რომელთა შორისაც სამი დანაწილდა კიდევ ნახევარ-ნახევარ ერთეულებად. უკანასკნელნი, ე. ი. ნახევრად გაყოფილი ავტონომიური ერთეულები, აგზავნიან ცენტრალურ საკანონმდებლო დაწესებულებებში ნახევარს წარმომადგენელთა იმ რაოდენობისა, რომელსაც აგზავნიან 6 განუყოფელი ავტონომიური ერთეულები.

თვითეულს ავტონომიურ ერთეულს ეწოდება კანტონი და აქვს საკუთარი კანონები, საგამგებლო წესები, ჩვეულებანი და ისტორია.

ცენტრალურს, ანუ საერთო საკანონმდებლო ორგანოს, ეწოდება ფედერალური ან საკავშირო კრება, რომელიც შესდგება საერო საბჭოსაგან და შტატების საბჭოსაგან.

საერო საბჭოში აგზავნიან კანტონები წარმომადგენლებს მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით (თითო წარმომადგენელს ყოველს 20 ათას კაცზე; თუ საარჩევნო რაიონში 10 ათასი მცხოვრებზე მეტია, ამ რაიონის მცხოვრებთა რაოდენობა ითვლება 20 ათასად). ყველა შვეიცარიელს აქვს უფლება იყოს საერო საბჭოს წევრად —გარდა სასულიერო წოდების მოსამსახურეთა.

საერო საბჭოს ირჩევენ სამი წლით.

არჩევნებში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ყველას, ვინც 20 წლისაზე უმცროსი არ არის.

არჩევნები საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარულია.

საერო საბჭო წარმოადგენს ქვედა პალატას.

ზედა პალატას ეწოდება სახელმწიფო, ანუ შტატთა საბჭო. აქ 44 დეპუტატია. თითო კანტონი აგზავნის ორორ დეპუტატს. ამ მხრით პატარა კანტონს იგივე უფლება აქვს, რაც დიდ კანტონს. და რადგან საკავშირო კანონების დამტკიცებისათვის ორივე საბჭოს დასტურია საჭირო, პატარა შტატების ავტონომიური დამოკიდებლობა—უზრუნველყოფილია.

საერო საბჭო და შტატების საბჭო იკრიბებიან ცალ-ცალკე. მაგრამ საკავშირო საბჭოსი (უმაღლესი საგამგებლო ორგანოსი), საკავშირო სასამართლოსი და მთავარსარდლის ასარჩევად და კონსტიტუციის გადასასინჯავად იკრიბებიან ერთად. საკანონმდებლო ინიციატივა აქვს ორსავე საკანონმდებლო ორგანოს.

საერო საბჭოსა და შტატების საბჭოს დიდი საკანონმდებლო უფლება აქვსთ. მათს საკანონმდებლო ფარგალში შედიან. იმის გარდა, რაც აღვნიშნეთ,—ხელშეკრულობანი და კავშირნი უცხო სახელმწიფოებთან. დამტკიცება კანტონებს შორის დადებულ ხელშეკრულობათა,—თუ ამ ხელშეკრულობათა წინააღმდეგ საკავშირო საბჭომ ან რომელიმე კანტონმა განაცხადეს პროტესტი, ომის გამოცხადება, ზავის შეკვრა, მოქალაქის თავისუფლების უზრუნველყოფა, ჯარის შენახვა. დიპლომატია, საბაჟოები, ფულის მოჭრა, სავაჭრო კანონმდებლობა, უზენაესი კონტროლი კანტონალურ მთავრობათა მოქმედებისა და სხ. სხვათა შორის თვითეული კანტონის მოწონებული კანონპროექტი ბეჭდვის შესახებ უნდა იქნეს დამტკიცებული ცენტრალურ საკანონმდებლო დაწესებულებათა მიერ.

საკავშირო საბჭოს ირჩევენ სამი წლით საკავშირო საკანონმდებლო დაწესებულებანი. ამ საბჭოში სულ შვიდი წევრია. თვითეული მათგანი ითვლება თვითო წელს საბჭოს პრეზიდენტად. საკავშირო საბჭო—საკავშირო აღმასრულებელი ორგანოა.

იმავე დროს თვითეულ კანტონს თავისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ავტონომია აქვს.

ზოგიერთს პატარა კანტონში მთელი ხალხი იკრიბება და სწყვეტს საკანონმდებლოსა და საგამგებლო საქმეებს.

დანარჩენ კანტონებში მთელი ხალხის ერთად შეკრება ძნელია, ამიტომ თვითეულ კანტონს აქვს საკანონმდებლო პალატა—დიდი საბჭო, რომლის წევრებსაც ირჩევენ საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირისა და ფარული ხმის მიცემით—თითქმის ყველგან— 3—4 წლის ვადით. ეს საბჭო გამოსცემს კანონებს, აკანონებს სხვათა შორის გადასახადებსა და საკრედიტო ვალდებულებათ, ნიშნავს უმთავრეს მოხელეებსა და უჭირავს თვალი მათს მოქმედებაზე.

აღმასრულებელ საბჭოს ირჩევენ 11 კანტონში ხალხი პირდაპირ, 8 კანტონში კი დიდი საბჭოები, მაგრამ აღმასრულებელი ორგანოები ყველგან ექვემდებარებიან დიდ საბჭოებს, რადგან ფული, კრედიტი, რომელიც სჭირდებათ აღმასრულებელ საბჭოებს, უნდა იქნეს დამტკიცებული დიდი საბჭოების მიერ.

საქალაქო და სასოფლო ანუ კომუნალური თვითმართველობანიც გაცილებით უფრო დამოუკიდებელი, ავტონომიური, არიან, ვიდრე საფრანგეთში, თუმცა ჩამორჩებიან ამ მხრით ჩრდილო. ამერიკის შეერთებული შტატების მუნიციპალურ თვითმართველობათ.

საჭიროდ არ მიმაჩნია ალვნიშნო უფრო დაწვრილებით შვეიცარიის კონსტიტუციის ანაგები. ვიტყვი მხოლოდ, რომ პიროვნების სამოქალაქო თავისუფლება და ადგილობრივი თვითმართველობანი, ან ავტონომიური უფლებანი, აქ გაცილებით უფრო უზრუნველყოფილი არიან, ვიდრე საფრანგეთში.

კიდევ მეტი ავტონომიური დამოუკიდებლობა აქვსთ ჩრდილო-ამერიკის ავტონომიურ შტატებს, რომელნიც ჩაითვლებიან სამოქალაქო თავისუფლებისა და თვითმართველობის ნიმუშად.

**დასკვნა.**

და, საზოგადოდ, სამოქალაქო თავისუფლება და თავისუფალი, შეუვიწროებული ადგილობრივი თვითმართველობა მხოლოდ იქ არის, სადაც პოლიტიკური ცხოვრება აგებულია ავტონომიის საფუძველზე.

თავისუფლება გარეშე ავტონომიისა —არ არის. და, მაშასადამე, რუსეთში თუ ცენტრალისტური რესპუბლიკა დაწესდა, მისი პოლიტიკური წესწყობილება საფრანგეთისაზე უარესი იქნება.

საფრანგეთი პატარა ქვეყანაა, რომლის ნაწილები მცირეოდნად განირჩევიან ერთმანეთისაგან ზნითა და ჩვეულებით, ტრადიციითა და ისტორიით, ენითა და კულტურით. და, თუ კი იქაც სული ეხუთებათ ცენტრალისტური კანონმდებლობისა და მართვაგამგეობისაგან, რაღა იქნება რუსეთში, რომელშიაც ასზე მეტი ერია, რომელთა შორისაც თვითეულს სულ სხვა ისტორია, სხვა ენა, სხვა ზნე-ჩვეულება და სხვა ეკონომიური ინტერესები მოეპოვება.

[illegible]

...რონე მეორეს შორის 1783 წელს დადებული ხელშეკრულობით.

**ვახილ წერეთელი.**

## საქართველოს ეკლესიის სამღვდელმთავრო ტაძრების სალაროები და მათი ბედი XIX საუკ. დამდეგს

საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერი თავის სალოცავ ტაძრებს მოწიწებით უფრთხილდებოდა, საუკეთესო მასალით აშენებდა და რჩეულ უძრავ-მოძრავ ქონებასა სწირავდა, რომ იმ სალოცავ საყდრებში წირვა-ლოცვაზედ შემწირველ-აღმაშენებელთა მოხსენება საუკუნოთ ყოფილიყო. ყოველ ტაძარს წლითი-წლად ემატებოდა ძვირფასი განძეულობა და მდიდრდებოდნენ. როცა ახალი მღვდელთმთავარი ან წინამძღვარი განწესდებოდა, ეკლესიის სალარო ახლად შედგენილი დავთრით ჰბარდებოდა მეფის ან კათალიკოზისაგან მიჩენილი კაცის ხელით. შიშიანობის დროს საეკლესიო სალაროებისათვის აღნიშნული იყო მაგარი სახიზარი ადგილები: ქართლში—გერგეთის ქვაბები და ლარგვისი; კახეთში სანაგირი (ურიათუბნის მთაში), ჰერემი და შილდის თავი; იმერეთში—ხომლის მთის ქვაბები, ჰელიში და ლეჩხუმ-სვანეთი. 1801 წლის მაისიდგან რომ რუსეთის გამგეობა შემოიღეს, ახალმა მოხელეებმა აბუჩათ აიგდეს სამღვდელოება, სარწმუნოებრივ-ზნეობრივი კულტი და ყველა სალოცავ-სათაყვანებელს ადგილს ქართველთა გულში დიდება და პატივი ნელნელა აჰყარეს, თაყვანისცემა დაუკარგეს. თვითონ მთავარ-მართებელი ციციშვილი ულვთოთ ექიდებოდა საეკლესიო სარჩო-საბადებელს და სამღვდელოებასა. თებერვლის 5-ს 1805 წ. ციციშვილმა უბრძანა უზენაესს აღმასრულებელ ექსპედიციას—„ანტონ კათალიკოზის ნაბოძებ ოქმებს ძალა არა აქვთო, უკანონოებიაო".*) ესეთის საქმით წაქეზებულმა ისპრავნიკებმა და პრისტავებმა არა ერთი და ორი მღვდელმთავარი და არხიმანდრიტი აატირეს და სიცოცხლე ჩაუმწარეს, ანტონ კათალიკოზ პატრიარქის რუსეთში გადასახლების შემდეგ (ნოემბრის 3 1810 წ.) ციციშვილის ისპრავნიკის საიდუმლო დარიგებით საეკლესიო გლეხებს რბევა დაუწყეს და საეკლესიო მამულების გამგებელი არქიმანდრიტი ნიკიფორე იძულებული იყო ვარლამისათვის მოეხსენებინა 1813 წ. მარტის 4-ს: „ციციშვილები საეკლესიო ყმებს ავიწროებენ, ტყეში არ უშვებენ, სცარცვავენ, ხან ერთი წამოუქროლებს შავარდენივით, ხან მეორეო. ამბობენ ეკლესიები და ეკლესიების ყმა და მამული სახელმწიფოთ დაიდოო. ამ ხმაზე უფრო აესივნენ და აოხრებენ, პატრონი და მოსამართლე არის სადმე თუ არა, არ ვიცი; თუ არის, სად არის მფარველობა და საშინელი ხელმწიფური შერისხვა და დასჯა დამნაშავეთა; და თუ არა და ეს რა ამბავია?..*) გაამრავლეს და გაამბედნიერეს მაბეზღარნი მოღალატენი მშობელ ერისა და ქვეყნისა. თავის სამშობლო ქვეყანაში უვარგისნი, უსარგებლონი და ზნეგახრწნილნი, როგორც „აღთქმის ქვეყანაში", ისე მოეშურებოდნენ საქართველოსაკენ და აქ რაგინდარა მოხელეობას ეწეოდნენ. სწორედ ამისთანა განმანათლებლებმა აამტუტეს ერთიანათ ქართველთა მამაპაპური ყოფა-ცხოვრება და აიკლეს ჩვენი საეკლესიო უძრავ-მოძრავი ქონება. თუ რა გზით დაილუპა ის აუარებელი, მეცნიერებისათვის ფასდაუდებელი სამღვდელმთავრო სალაროები, რანიც მრავალგზის სალოცა მიხ-

[illegible]

...ერთი ძველი და ერთი ახალი. ა. ქ. ერთი ონფორი მარგალიტის ჯვრებით. ა. ქ. ერთი ონფორი საია სტეფისა. ა. ქ. ერთი მარგალიტის ენქერი. ა. ქ. ერთი სტეფის ენქერი არშიით. ბ. ქ. ორი ოლარი მძიმე ოქრომკედით ნაკერი. ა. ქ. ერთი სარტყელი ნაკერი ვერცხლის ბალთებით. ა. ქ. ერთი (წყვილი) საბუხრები ნაკერი, ოქროს ჯაჭვით. ა. ქ. ერთი სტიხარი ლომდანისა. ა. ქ. ერთი სამღვდელმთავრო ჯოხი. გ. ქ. წირვის ხელსახოცი სამი ორი ახალი, ერთი ძველი. ა. ქ. დორი ხავერდისა ერთი. ა. ქ. ერთი ხელთნაწერი კონდაკი. ა. ქ. ერთი ხელით წერილი პატარა სახარება ლაჟვარდისა. გ. ქ. სამი არწივი. ა. ქ. წირვის ხელსაბანი ტასტი და ალთაფა პატარები. ქ. სიწმინდის იარაღი ეს არის, რომელიც ქვემო ცხად იქმნება: ა. ქ. ერთი ბარძიმ-ფეშხუმი ვერცხლისა ოქროთი დაფერილი, თავის კოვზით, კამარით და ვერცხლის თეფშით. ქ. სიწმინდის დაფარნები ერთი წყვილი, მძიმეთ ნაკერი. ა. ქ. ერთი ბარძიმფეშხუმი, ორი წვრილი თეფშით, რუსულია თეფში (დაკარგულა). ა. ქ. ერთი კიდევ ბარძიმ ფეშხუმი ვერცხლისა თავის კოვზით და კამარით. ა ქ. ერთი წყვილი ჯვარის სასანთლე ვერცხლისა. ა. ქ. ერთი ვერცხლის საცეცხლური. ა. ქ. ერთი ძველი საცეცხლური (დაკარგულა). ბ. ქ. ორი ოდიკი, ერთი დაკარგულა. გ. ქ. სამი ჯვარი, ერთი მოჭედილი ხისა, ერთი საია, ერთი ძვლისა. ა. ქ. ვერცხლის ტაკუკი ერთი. ა. ქ. ერთი მიტრა მარგალიტით ჩართული. ბ. ქ. ორი ხატი ყელსაკიდი თავის ჯაჭვებით დაფერილი ოქროთი. აღიწერა მარტისთვის, კზ, ქკს უობ, (1784 წ.) (ბეჭდები) საბა. კირილე. ეფთვიმე.

მეორე გვერდზედ:

„საბა. ქ. ნეტარად ხსენებულის მათის უ-დ სამღვდელოების ნინოწმინდ-ლის დანარჩომი რაც რამ არის—ან შესამოსელი, ან წიგნი და ან სხვა ჭურჭელი და ქვეწარმტენი რაც რამ იყო, რომ აცხადებს ნუსხით ეს ქვემოწერილი—ეს არის:

ა. ქ. წმიდის ტრაპეზის შესამოსელი ხათაი ძველი ნაჭერი ატლასისა. [illegible] ... წერილი. ბ. ქ. ორი კონდაკი—ერთი ძველი, ერთი ახალი (ერთი დაკარგულა). ბ. ქ. ორი პატარა ლოცვანი ხელით წერილი. ა. ქ. ერთი ძილისპირი. ა. ქ. საყდრის კურთხევის წიგნი. ა. ქ. ერთი საათი მუნთუაშვილს აბარია. ქ. ერთი წიგნი ისტორია იერუსალიმის მოოხრებისა და სტამბოლის აღებისა. ქ. ცხენის კარაბადინი ერთი. (ბეჭდები): კირილე, ევთიმე, საბა.

**მღ. პ. კარბელაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

*) იხ. საქმე ექსარხ. კანცელარიისა 1818 წ. № 44.

*) იხ. საქმე ექსარხოსის კანცელ. 1813 წ. № 16.

**) იხ. საეკლ. მუზეუმის გუჯარი № 122.

## ქართველობა სპარსეთში

როგორც ვიცით სპარსეთში ქართველებისა მრავალი სოფელია. ესენი იმ ქართველების შთამომავალნი არიან, რომელნიც შახ-აბაზმა კახეთიდან აჰყარა, მუსულმანობა მიაღებინა და სპარსეთის უვარგისი ადგილები მიუჩინა საცხოვრებლად.

იმ ცნობების მიხედვით, რომელნიც მათს შესახებ ჩვენამდე მოდის, შემდეგი სჩანს:

კასპის ზღვის პირას, სოფელ ხუროაბაში ცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები, აქედან 50 ვერსის დაშორებით ს. ზავადში სცხოვრობს 30 კომლი ქართველი. აქედან 100 ვერსის მანძილზე ზღვის პირას ს. ორანგში სცხოვრობს 200 კომლი ქართველი. ამ სოფლიდან მიდის შაჰ-აბაზის გზა და ამ გზაზე მდებარეობს სოფლების ერთი ჯგუფ, რომელთაც საერთო სახელი „დილირ-ინგრო" ჰქვიან. ამ სოფელში საშუალოდ 540 კომლი ქართველი სცხოვრობს.

ამ სოფლების გვერდზედ მდებარეობს თემი ერაგი, სადაც საშუალოდ 5000 კომლი ქართველი სცხოვრობს.

ამ თემის დაშორებით 60 ვერსით ზღვის პირას მდებარეობენ თემები:— ალამდე და სოლომედში, სადაც თითქმის 5000 ქართველი სცხოვრობს.

დაახლოვებით ამ ადგილებში გაშენებულია ქალაქი შავრუვი, სადაც თითქმის ნახევარზე მეტი ქართველი მცხოვრებელია. ამ ქალაქის გარშემო სოფლებში, ამორში, სეფაში, ხივში და სხვ. თითქმის სულ ქართველები ცხოვრობენ.

მათი რიცხვი ერთობ დიდია და საშუალოდ 10,000 კომლს აღემატება.

ამ ადგილებიდან 9 ვერსის დაშორებით გაშენებულია ქალაქი ამფარი. აქ მრავალი ძველი ნიმუშია შახ-აბაზის დროისა. ამ რაიონში ცხოვრობენ ქართველები რიცხვით 300 კომლამდე.

ამათ გარდა მრავალ ადგილებზე ცხოვრობენ ქართველები. ქალაქ თეირანის ახლო-მახლო მდებარე ადგილები სავსეა ქართველ მუსულმანებით.

ქართველი მაჰმადიანები უმეტესად ბრინჯის თესვას მისდევენ. ამას გარდა შეძლების დაგვარად მისდევენ ხვნათესვას. პური მოჰყავთ იმდენი, რამდენიც თვით მათ სჭირიათ, გასაყიდი ჰერნახული თითქმის არასოდეს მოუვათ. ამას გარდა მთიან ადგილებში ძლიერ გავრცელებულია მეჯოგეობა. ჰყავთ უმთავრესად თხა, ძროხა, ხარი. თხის და ძროხის რძით ძლიერ სარგებლობენ, აკეთებენ ყველს, ხდიან ერბოს, კარაქს, აყენებენ მაწონს. ამას გარდა ქალაქ ყაზვინის ახლოს მისდევენ მევენახეობას, მეხილეობას და მეურნეობას.

მრავალ სოფელში ბეგებად არიან ქართველები, მაგრამ არამც თუ ბეგებად, სხვა დიდი თანამდებობაც ხშირად ჰქონიათ ქართველებს სპარსეთის სახელმწიფოში.

სპარსელ ქართველებს ზოგ ალაგას წმინდათ დაუცავთ ქართული ენა, ზოგან სპარსულ ენაში შეტრიალდა და ახალ ენათ შეიქმნა და [illegible]

**მ. ხაიბელა.**

## კორესპონდენცია

### თუშ-ფშავ-ხევსურეთი და ყაჩაღები.

[illegible] ...ხოცეს. ბევრჯელ მიუმართავს ყაჩაღ-ქისტებისაგან ხელ დაბანილს და გაოხრებულს ჩვენი მთის კაცს ძველი მთავრობისთვის შემწეობის სათხოვნელად, მაგრამ ამაოდ, მათგან უმწეოდ და უყურადღებოდ დატოვებული დაბრუნებია თავის დაცარიელებულ ოჯახს.

აი, ეხლა, ამ უკანასკნელ დროს, როდესაც ომი დაიწყო და ყველა ახალგაზრდობა ბრძოლის ველზედ იქმნა გაწვეული, დარჩა უპატრონო სოფლები, ამითი მიეცათ საშუალება რათა წინანდელზედ უარესად დაეწყოთ თარეშობა... ან აქამდის რის შიში ჰქონდათ. ძველი მთავრობის უქაზით, სასტიკათ აკრძალული გვქონდა იარაღის ხმარება. ცარიელი ხელით კი იმათი პასუხის მიცემა ძნელი იყო, რადგან ისინი შეიარაღებულნი არიან მსწრაფლმსროლელი თოფებით.

ჩვენის აზრით საჭიროა ყარაულების დაყენება, ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის მთებზედ, იმ ადგილას, სადაც არის გადმოსასვლელი გზები. ეს გზები კი ამ ჩვენ მთებზედ მრავალია და აქედამ თავისუფლად მიდიან და მოდიან ყაჩაღები ჩვენი რბევის დროს.

ეხლა დაიწყო ჩვენში მილიცია, და აგერ თითქმის ერთი თვეა, რაც რამდენიმე კაცი დგას მთაზედ, ზოგი შინაური თოფით და ზოგიც ცარიელი ხელით. აუცილებლად საჭიროა, გამოგვიწოდოს ახალმა მთავრობამ ხელი, აღმოგვიჩინოს შემწეობა, დაგვიხსნას მტრის ხელიდგან. ჩვენი კომისარი, ნიკო რაზიკაშვილი, გვპირდება, მითხოში, ე. ი. ქისტეთის სოფელში გადავალ და ქისტებს დავამშვიდებო. მე მგონია საკმარისი დრო ჰქონდა აქამდის დაემშვიდებინა ქისტეთი და ამით გადაერჩინა ჩვენი ქვეყანა ცარცვა-უბედურებისგან. არა; ეს ვერ გვიშველის!.. ჩვენ ეხლა მოხარულნი ვართ და სრულის იმედით აღჭურვილნი, მით, რომ მოკვდა ძველი მთავრობა, რომელიც უყურადღებოდ სტოვებდა ყოველ ჩვენ თხოვნას. ეხლა კი იმედია ჩვენი ახალი მთავრობა ადამიანებად ჩვენც ჩაგვთვლის, აღმოგვიჩენს შემწეობას: აღარ წაგვართმევს იმ ხალხს, რომელიც უკვე მოვალენი არიან უარის უთქმელად გაწვიდნენ ბრძოლის ველზედ. აი, ამ ხალხს, შეუძლიან ჩვენი ქვეყნის დაცვა, გადარჩენა იმ საშინელ ქარ-ცეცხლისგან, რომელიც მოელის ჩვენს სოფლებს ყაჩაღებისგან.

**მ. მთიბელაშვილი.**

## შემოწირულებანი

**აკაკის ძეგლის ფონდისათვის.**

ოზურგეთის ქალაქის თვითმმართველობა ღრმეს მადლობას სწირავს ქვემორე მოხსენებულ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და დახმარება გაგვიწიეს, როგორც თავიანთი წვლილის გაღებით, ისე ნაცნობ-მეგობართა შორის ფულის შეგროვებით ქალ. ოზურგეთში დიდებულ მგოსან აკაკი წერეთლის ძეგლის დასადგმელ ფონდის სასარგებლოდ.

ოზურგეთში შეკრებილი: ოცდა ხუთი მანეთი ექ. ავთ. ინგოროყვა, ათი მანეთი, გერმანე გოგიტიძე, ხუთი მანეთი, გიგილო გედევანიძე, სამი მანეთი ალი-ქალ-ოღლი.

ჯარისკაცი სერაფიონ ჭელიძისაგან შეგროვილი 10 მან.:

თითო მანეთი: იაკობ ცისკარიძე, თედორე სალუქვაძე, ნესტორ ჭეიშვილი, სერაფიონ ჭელიძე, მათე მდინარაძე, მინა კანმურაშვილი მოსე, აბაშმაძე, ალისტრო მახარაძე, თეოფილე ვასაძე. ათ-ათი შაური: თომა ანდღულაძემ და იაკინთე გოგუამ.

მიხეილ მახარ. სიხარულიძისაგან შეგროვილი 16 მან.: მიხეილ სიხარულიძემ—10 მან., პლატონ კიკნაძემ— 3 მან. და მღ. კონ. ანთაძემ—3 მან.

გრიგოლ გველესიანისაგან შეგროვილი: 10 მან.

ჯარისკაცი ფერშალი გიორგი სალუქვაძისაგან შეგროვილი 66 მან: გიორგი სალუქვაძემ 2 მან. და 25 კაპ. ორორი მანეთი: ილ. ღლონტმა, ილ. იმნაიშვილმა და პ. კვეტაშვილმა. მანეთნახევარი: Петръ Шердтъ, ილ. თოდრაძემ. თითო-მანეთი: ორ. ორაგველიძემ, იპ. საჯველაძემ, ის. ბღათურიამ, ლ. ორ გველიძემ, ირ. ღლონტმა, მ. ორაგველიძემ, სამ. ბაღიშვილმა, პლ. დოლიძემ, მელიტონ ხალვაძემ, ბესარიონ ჯაყელმა, ალ. კვეტაშვილმა, პოლ. ჯღენტმა, ელიზ. წულაძემ, პავლე გოგიშვილმა, მაქსიმე გიორგაძემ, გ ბერძენიშვილმა, რაჟ. კალანდარიშვილმა, ყაისარ ებრალიძემ, ნიტიფო ფირცხალაიშვილმა, სპ. ქოქოსაძემ, ვას. ჭოჭუამ, ილ. სალუკაშვილმა, ერ. სამხოევმა, Ст. Бурдинъ, А. Ерзекіянъ, გ. ქაჯაია, გიორგი აფციურმა, გ. ხმალაძემ, ალექსი პაპანიანცმა, მალ. ქუტიძემ, О. Бѣловъ, ივ. ჭეიშვილმა, ნესტ. ცინცაძემ, ბიქტორ ქუთათელაძემ, სერ ქელბაქიანმა, ელ. იმნაძემ, თეოფილე წილოსანმა, დიმ. ხუხუნაიშვილმა. პავ. კვეტაშვილმა, ილ. გვარამაძემ (პატრა), Ар. Теракоповъ, ჯამ. სიორიძემ, სიმ. ანთაძემ, Ник. Надольскій, სიმ. იმნაძემ, ნ. კვაჭაძემ, ივ. ქორქაშვილმა, გ. ტიტუნაშვილმა, სერ. ნოზაძემ, დავ. ნაკაიძემ, М. Поляковъ. ათ-ათი შაური: Этія Бурдина, ნ. ცხადაძემ, ალ. მოსიაშვილმა, იაკ. წვერიანოვმა, ალ. გობრონიძემ, ეს. ნიგიშვილმა, ბეს. ორაგველიძემ და ლ. ფირცხალაშვილმა. სულ 145 მან.

ოზურგეთის ქალაქის მოურავი

**დიმ. ერისთავი.**

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპიძე.**

გამომცემელი **ამხ. „საქართველო".**


## ამიერ-კავკასიის რკინის გზის

**მატარებლების მოძრაობა**

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 3, | 11.05 | დილ. |
| „ | სამგზ. № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. № 19, | 8.20 | დღ. |
| „ | „ № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. № 8, | 8.54 | დღ. |
| „ | საფ. № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. № 4-8, | 11.13 | საღ. |
| ?ელავისაკენ | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.88 | საღ. |
| ?აზ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. № 62, | 6.34 | საღ. |
| ?აქოდან | საფ. № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 10.40 | საღ. |
| თელავიდან | № 8, | 6.24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. № 3***, | 8.10 | დილ, |

# ექიმი
# ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანჯანოვისა).

**მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი,** სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თირკმელისა, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^{1}/_{2}$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

**ტელეფონი „914" და „603"**

**შეუსაპუხება**

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და ხვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლალიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლალიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის მიერ** პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლალიძის წყალი"




მხოლოდ და მარტო ლალიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

**სუნი და გემოც საამური აქვს**

წლ.

# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეძველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-ზმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სილიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

# ქარების (რევმატიზმის),
# ნევრესის
# თირკმელების (ჭაჭების)

და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „ურადონალ", და მაზი წასასმელი „ატრო", სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი „ურადონალისა" ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „ურადონალი" და ოთხი კოლოფი მაზი „ატრო". სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ზეს შემდეგ. დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.

Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.